საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge



იმისთანა ჭმინდა საქმეში, რომელიც ბოლოდროინდელი სიფცქვაა, ფაფიოლებით და ჭოჭოებით ბუჩქთის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ხუთშაბათი, 13 ოქტომბერი. 2016 წ. №191 (8083), გამოცემის 98-ე წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.

„ოცნებამ“ ახალი საბრძოლო სულისკვეთებით თვითონ ნაციონალები უნდა გახადოს უნიათონიც და უუნარონიც!

ზოგი ჩვენი ამომრჩეველი, სამწუხაროდ, იმ მელას დაემსგავსა, რომელსაც თავისი მახრჩობელა უყვარდა. აბა, სხვანაირად რით უნდა აიხსნას ის აშკარა გაუგებრობა, რომ პარლამენტში, როგორც ჩვენი საზოგადოების გულზე დამდგარ შხამიან ძვლებს, ვიხილავთ დავით ბაქრაძეს, სერგო რატიანს, რომან გოცირიძეს, ირმა ნადირაშვილს, გიორგი ონიანს, ოთარ კახიძეს, ელენე ხოშტარიას, ირაკლი აბესაძეს და კიდევ არაერთ მავნე ნაციონალს, რომელთა შავი მიზანია, მეოცნებეთა წინააღმდეგ ბრძოლის საბაბით, აშკარა ანტიეროვნული და ანტისახელმწიფოებრივი ბოროტმოქმედება.

წინასაარჩევნოდ უხვად დაპირებების შესრულებით მაინცდამაინც ვერნაყოჩაღარ „ოცნებას“ პირველი დღეებიდანვე, პირველი საათებიდანვე მართებს ამის პრინციპულად გათვალისწინება.

განვლილმა არცთუ იოლმა ოთხმა წელიწადმა, იმედია, ჭკუა ასწავლა „ოცნების“ ხელისუფლებას, რომელიც აღარ მოითმენს ხელისუფლების ხელში ჩასაგდებად თავზე ხელაღებულ ნაციონალთაგან გამიზნულად განხორციელებულ პროვოკაციებს, საბოტაჟებს, ათასგვარ დემაგოგიას.

სხვაგვარად შეუძლებელი იქნება ქვეყანაში სწრაფი განვითარებაც, თავისუფლებაც და კეთილდღეობაც!

კეთილმოსურნეთა სურვილია, „ოცნება“ დაპირებების შესრულების თვალსაზრისით აღარ ჩაიჭრას და ახალი ოთხწლიანი გამოცდა, როგორც უკვე ჭეშმარიტად გამოცდილმა ხელისუფლებამ, მაღალი ნიშნით ჩააბაროს!

დღეს – ხვალისათვის



ნუგზარ ფოფხაძე:
ამდენი უდედო დოქსოპულო, ამდენი ბაქია და მკვეხარა საიდან გაჩნდა ამ ქვეყანაზე?

3

ვასილ რუხაძე:
თუკი ღირსეული მესამე ძალა გამოჩნდება, ქართველი ამომრჩეველი მას მიაშურებს



რამაზ საყვარელიძე:
იმპერატორებიც კი ხანდახან კომბოსტოს მოყვანას ამჯობინებდნენ სახელმწიფოს მართვას

4

ნაციონალები, როგორც ყოველთვის, იმას მაინც შეეცდებიან, ქვეყანა არიონ!



ოხუნჯმა ამომრჩეველმა შემოგვთავაზა

საკნატუნო ანტიდეპრესანტი

ესეც შენი არჩევნების შემდგომი ხანა ქართულ პარტიულ-პოლიტიკურ რუკაზე:

ზოგი იწყებს დაშლას;
ზოგი – გაშლას;
ზოგი – აშლას;
ზოგი – ჩაშლას;
ზოგიც – საერთოდ წაშლას!..
მთელ ამ პარტიულ-პოლიტიკურ ნაშალს
შესძახებს „ვაშას!“
და ნათელაშვილი ჩაუდგება მარშლად!
ასე რომ, ოცნებას
შალვა შეეხორცება,
და თვით მიშიკოსგან
ოდესიდან ამისთვის
მაგრად ჩაიკოცნება!

არგენტინა შოკშია!

10

მზია გელენავა

5

დევნილი ჟურნალისტის თხოვნა

არის გამოსავალი!

საქართველოს შეიარაღებულ ძალებს 125 იუნკერი შეემატა

დავით ალმაშენებლის **სახელობის ეროვნული თავდაცვის აკადემიის 125 იუნკერი საქართველოს შეიარაღებულ ძალებს შეემატა.**

სამხედრო ფიცის დადების ღონისძიება საზეიმო ვითარებაში ეროვნული თავდაცვის აკადემიის სამწყობრო მოედანზე გაიმართა. იუნკერებს ფიცის დადება საქართველოს თავდაცვის მინისტრმა ლევან იზორიამ და შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსმა, გენერალ-მაიორმა ვახტანგ კაპანაძემ მიულოცეს.

თავდაცვის მინისტრმა ყურადღება იუნკერების მიერ ფიცის დადებით აღებულ პასუხისმგებლობაზე გაამახვილა. **„გილოცავთ ბატონო იუნკერებო დღევანდელ დიდებულ დღეს! ეს თითოეულის ბიოგრაფიაში იქნება უდიდესი დღე; იმიტომ, რომ დღეიდან თქვენ უკვე სრულფასოვანი წევრები ხართ ქართული შეიარაღებული ძალების. ფიცის დადება საჯაროდ, როგორც დღეს ჩვენ მოვისმინეთ, არის მხოლოდ ღირსეულთა, გამორჩეულთა ხვედრი. იმიტომ, რომ თქვენ საჯაროდ იღებთ უდიდეს პასუხისმგებლობას თქვენი ქვეყნის, ერის წინაშე. ფიცით თქვენ ჩვენს დიდებულ წინაპრებს ესაუბრებით, მათ წინაშე დებთ პირობას, რომ გააგრძელებთ ღირსეულ საბრძოლო ტრადიციებს. ფიცით თქვენ ჩვენი თანამედროვეობის გმირებს ესაუბრებით, რომ იდგებით მათ გვერდით, მათ სახელს გააგრძელებთ, მათ ხსოვნას უერთგულებთ და თქვენი ფიცით თქვენ ესაუბრებით, ასევე თქვენს მომავალს, საქართველოს მომავალს, იმიტომ, რომ, სწორედ, თქვენს სიმტკიცეზეა, ფიცის ერთგულებაზეა დამოკიდებული ის, თუ როგორი მტკიცენი, შეუდრეკელნი, ბრძოლისუნარიანი იქნებით მომავალში; ღმერთი იყოს თქვენი მფარველი! წარმატებებს გისურვებთ და ვისურვებდი, რომ ის მოლოდინები, რომელიც აქვთ თქვენი ოჯახის წევრებს, მშობლებს და მეც, როგორც თქვენს ერთ-ერთ რიგით თანამებრძოლს და გულშემატკივარს, ღირსეულად აგესულებინოთ!“,** — განაცხადა ლევან იზორიამ.

ფიცის დადებამდე იუნკერებმა და მოწვეულმა სტუმრებმა წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს საქართველოს ერთიანობისათვის ბრძოლის დროსა და სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს დაღუპულ სამხედრო მოსამსახურეებს; შესრულდა საქართველოს სახელმწიფო ჰიმნი.

8 ოქტომბრის არჩევნები აპატურაის შეფასებით

ნატოს გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენელი სამხრეთ კავკასიასა და ცენტრალურ აზიაში ჯეიმს აპატურაი 8 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებს განცხადებით ეხმაურება, რომელიც ნატოს ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნდა.

„საერთაშორისო დამკვირვებლების შეფასებით, არჩევნები იყო კონკურენტული, კარგად ადმინისტრირებული, ზოგადად ჩატარდა ფუნდამენტური თავისუფლებების პატივისცემით. ვწუხვარ, რომ საარჩევნო კამპანიის დროს მოხდა ძალადობის რამდენიმე ინციდენტი. მჯერა, რომ სხვადასხვა საჩივარი სრულად იქნება შეფასებული საქართველოს კომპეტენტური ორგანოების მიერ. მზად ვარ, ახალ პარლამენტთან და მთავრობასთან ვიმუშაო საქართველოსა და ნატოს შორის ურთიერთობების გასაღრმავებლად“, — ნათქვამია ჯეიმს აპატურაის განცხადებაში.

Statement by NATO Deputy Assistant Secretary General James Appathurai on parliamentary elections in Georgia

11 Oct. 2016 - | Last updated: 11 Oct. 2016 17:59

English | French

I congratulate the people of Georgia on the conduct of the parliamentary elections on 8 October. International observers have assessed that the vote was competitive, well-administered and generally respected fundamental freedoms.

მტკიცედ სდექ!

არჩევნების შემდეგი დღეები უფრო მღელვარე, სისხლსავსე და არაპროგნოზირებადი აღმოჩნდა ვიდრე წინადღეები იყო.

მაგალითად, ვინ წარმოიდგენდა, რომ რესპუბლიკელი დავით ბერძენიშვილი, რომელიც ჯერ კიდევ გუშინ პარლამენტში ყელყელაობდა „ქართული ოცნების“ მოსასხამს შეფარებული და ცხოვრებით ტკბებოდა, არჩევნებში სამარცხვინოდ ჩასვრის შემდეგ, იმდენად დაეცემოდა, რომ ელექტორატს მოუწოდებდა, მეორე ტურში, „ოცნება“ არ გავახაროთ, ნაციონალებს დაუჭირეთ მხარიო.

ნინო ბურჯანაძე, რომელმაც ბარიერი ვერ გადალახა და მონაწილე პარტიათა ჩამონათვალში ლამის „და სხვებში“ აღმოჩნდა 0,0 ქულით, არჩევნებს ტოტალურად გაყალბებულს უწოდებს და გამარჯვებულ „ქართულ ოცნებას“ ხმების „მოპარვაში“ ადანაშაულებს. მისი სატელევიზიო გამოსვლა პარტიის ლიდერისა და გუშინწინდელი აღმატებული სახელმწიფო მოღვაწის გამოსვლას, არ ჰგავდა, უფრო გაკაპასებული ქალბატონის წყევლა-კრულვა იყო, რომელსაც ვიტრინაში შეთვალიერებული სუვენირი ცხვირწინ აცალეს და ახლა ცრემლებით იქარვებს ჯავრს.

არადა, ბევრს ეგონა, რომ ალასანიას, პეტრიაშვილის, აბაშიძის, ცაგარეიშვილის, დოლიძის, ონოფრიშვილის მსგავსად ნინოს ეყოფოდა ძალა და ისეთი საშინელი ჩავარდნის შემდეგ, გაკოტრებაში სხვას კი არა, თავს დაიდანაშაულებდა და პარტიულ საქმიანობას დროებით მაინც შეწყვეტდა.

ამის ნაცვლად ყველას თვალებში ნაცარს აყრის და ხმების გადათვლას მოითხოვს სხვათა მიერ „მოპარული“ 14(?!) პროცენტის „დასაბრუნებლად“.

მე ვიცი, მე შემიძლია, მე ამას ვიცნობ, იმას ვიცნობ, მე ამას ასე არ დავტოვებო, აცხადებს

რიხით და რატომღაც ჰგონია, რომ ხალხმა დაივიწყა, თუ როგორ მოუძღოდა სააკაშვილსა და ჟვანიასთან ჩახელკავებული „ვარდების რევოლუციის“ გაავებულ კოლონებს, როგორ აკოწიწებდა ნაციონალურ მოძრაობას მთელი მისი დანაშაულებრივი სამყაროთი, რა გააფთრებით იბრძოდა მისთვის, როგორც ერთგული მეკავშირისთვის სააკაშვილის მიერ 1 ლარად ნაჩუქარი ნახევარი წყნეთის შესანარჩუნებლად!

ნაცები, რომლებმაც 3-დღიანი ვაი-უშველებლის შემდეგ პარლამენტში შესვლა და არჩევნების II ტურში მონაწილეობა გადაწყვიტეს, მათი ბელადის მიშა სააკაშვილის და ცნობილი ხისთავიანების აკაკი მინაშვილისა და ნუგზარ წიკლაურის საწინააღმდეგოდ და ქვეყნიერებას ამცნეს, რომ სისხლის უკანასკნელ წვეთამდე იბრძოლებენ ოცნებელთა წინააღმდეგ (დავით ბაქრაძე, ელენე ხოშტარია...), უკვე მჭიდროდ ირაზმებიან მაჟორიტართა არჩევნების მეორე ტურისთვის და ყოფილ მოწინააღმდეგეებს, ეაჯებიან, ჩვენს კანდიდატებს დაუჭირეთ მხარიო.

ეს ყოფილებიც, როგორც ვთქვით, ცრემლმორეულნი ხვდებიან „ჩაგრული“ ნაცების ძმურ მოწოდებას და თავის მხრივ „თავიანთ“ ღერა-ღერა ელექტორატს აძლევენ მითითებას, რომ ოცნებას როგორმე ხელი შეუშალონ, გზაზე გადაუდგნენ.

ჰოდა, როცა ასეთი ტოტალური „ნაცმომხრეობაა“, ჩვენც ჩვენი მხრივ „ოცნებას“ მოვუწოდებთ: მტკიცედ სდექ!

სანდრო ალექსიძე

ამერიკული ხომალდი ბათუმში

ამერიკული ხომალდი USS Mount Whitney გუშინ ბათუმში შემოვიდა. ხომალდს საქართველოს სამხედრო ოფიციალური პირები დახვდნენ. მოეწყო სპეციალური ცერემონია.

„შავ ზღვაში შემოსვლა ეს არის შესანიშნავი შესაძლებლობა, გავაგრძელოთ შავი ზღვის ქვეყნებთან ჩვენი პარტნიორობა, რომელთა შორის საქართველო ერთ-ერთი საუკეთესოა და ჩვენ მოუთმენლად ველოდოთ ამ ვიზიტს პორტში“, — განაცხადა კონტრ ადმირალმა და მე-6 ფლოტის სარდლის მოადგილემ დერილ ქოუდელმა.

ამერიკული ხომალდი USS Mount Whitney საქართველოში მესამედ შემოვიდა და 15 ოქტომბრამდე დარჩება. ბათუმში ყოფნის პერიოდში ხომალდზე შედგება ვიზიტები და გაიმართება წვრთნები. მათ შორის ძებნისა და სამაშველო ოპერაციის. ასევე, ჩატარდება ტრენინგი საზღვაო ოპერაციების კანონის შესახებ.

პაატა ბურჭულაძე ისევ ამაოდ ბაქიბუქობს!

„სახელმწიფო ხალხისთვის“ ლიდერი პაატა ბურჭულაძე პარტიაში რჩება და პარტია უახლოეს მომავალში ყრილობის გასამართადაც ემზადება.

„ჩამოყალიბდა ახალგაზრდა, პროფესიონალებით დაკომპლექტებული მომავლის პარტია, რომელიც მომავალ არჩევნებშიც მიიღებს მონაწილეობას.

მე ვარ უბედნიერესი ადამიანი, რომ შევძელი და ახალი, ჯანსაღი ძალა შემოვიყვანე ქართულ პოლიტიკაში. მე ვრჩები ამ პარტიაში, რეორგანიზაცია მოხდება და ჩვენ ყრილობა გვექნება სულ ცოტა ხანში. კოალიცია ჯერჯერობით არის და ალბათ იქნება იმიტომ, რომ ეს ყველას აწყობს. დღეს საქართველო არის ღრმა კრიზისში, საიდანაც ჩვენი მოძრაობა გამოიყვანს“, — განაცხადა პაატა ბურჭულაძემ.

ერდოღანი განაწყენებულია

საგანგებო განცხადება რეჯეფ თაიფ ერდოღანმა სტამბოლში ევრაზიის ისლამური საბჭოს სხდომაზე გააკეთა. თურქეთის ლიდერი ჰაიდარ ალ-აბადის გამოსვლამ განაწყენა, რომელმაც ანკარა ერაყის სუვერენიტეტის შელახვაში დაადანაშაულა. **„თურქეთის არმია თქვენს ბრძანებებს არ ემორჩილება. თქვენ ჩემი საპირწონე ლიდერი არ ხართ და თქვენი ყვირილი და ხელების ქნევა არ გვაღელვებს. კეთილი ინებეთ და თქვენი ადგილი ნახეთ,“** — განაცხადა ერდოღანმა.

პუტინმა ობამას ადმინისტრაციასთან დიალოგს აზრი არა აქვსო

რუსეთი შეერთებულ შტატებთან ურთიერთობის დაძაბვით შეშფოთებულია, თუმცა თეთრი სახლის მოქმედ ადმინისტრაციასთან დიალოგის წარმოება შეუძლებელია. ამის შესახებ კრემლის ლიდერმა ფორუმ „რუსეთი გეძახის“-ზე გამოსვლისას განაცხადა.

„დიალოგი პრაქტიკულად არ არსებობს. ობამას ადმინისტრაცია ახდენს იმის ფორმულირებას, რაც თავად სურს და ამის შემდეგ გვაიძულებს, მათ ნება-სურვილს დავყვეთ. ეს დიალოგი არ არის. ეს დიქტატურაა. თუ მათ დიალოგი სურთ, ჩვენი ინტერესებიც უნდა გაითვალისწინონ და ისე გველაპარაკონ, როგორც პარტნიორებს,“ — აღნიშნა პუტინმა.

ეს მართლაც სენსაციაა!

იაპონიაში 350 ათასამდე აბონენტს ელექტროენერგიის მიწოდება შეუწყდა. უშუქობამ საავტომობილო და სარკინიგზო მოძრაობის პარალიზება გამოიწვია. შეფერხებით მუშაობს ადგილობრივი მეტროპოლიტენიც. წინასწარი ინფორმაციით, ელექტროქსელი საიტამის პროვინციაში დაზიანდა.

ამდენი უდედო დოქსოპულო, ამდენი ბაქია და მკვეხარა საიდან გაჩნდა ამ ქვეყანაზე?

ვზივარ და ვფიქრობ არჩევნების ფინალზე.

რომ ვთქვა, ეს შედეგები მოულოდნელი იყო-მეთქი, არ ვიქნები მართალი. გამოვტყდები, არც შედეგებით ვარ გახარებული: ნამდვილად წაადგებოდა ქვეყანას პარლამენტის ზომიერი მრავალფეროვნება – „თავისუფალი დემოკრატების“ წარმომადგენლების, ბურჯანაძის ნამდვილად ძლიერი გუნდის დეპუტაცია, თუნდაც მინიმალური, მაგრამ, ფრაქციის შესაქმნელად საჭირო რაოდენობით. ასევე, აშკარად დააკლდება ამ პარლამენტს უნიკალური გამოცდილების მძიმეწონოსანი დიპლომატი თედო ჯაფარიძე, გაწონასწორებული და მზარდი დავით უსუფაშვილი...

მინდოდა, სხვებიც მეხსენებინა, მაგრამ... დამარცხებამ ზოგიერთი ისე დაბოღმა, გააცეცხლა და „გაარეკინა“, რომ... სრულიად ახლებურად (ზოგჯერ სამარცხვინოდაც კი) დაგვანახვა თავი.

ამას კი ვიყავით შეჩვეული წინასაარჩევნო პერიოდში, ველოდით კიდეც გაგრძელებას, მით უმეტეს წინმეორე ტურია, მაგრამ თუ ასე იფეთქებდა ზღვარგადასული ისტერიკა, თუ ასე გაძლიერდებოდა ლანძღვაგინების კორიანტელი, თუ ასე აუტანლად ამყრალდებოდა გარემო, ნამდვილად არ მეგონა. ისევე, როგორც, ბოდვამდე მისულ ამდენ სისულელეს თუ გავიგონებდი იმ ადამიანებისგან, რომელთაგანაც ზოგიერთს მაინც, საზოგადოება აქამდე მოიაზრებდა... „ნაკითხ“ და „ჭკვიან“ კაცებად.

... აი, თუნდაც ერთი ილუსტრაცია, რომელსაც თავად არ შევსწრებივარ, არც „გადატრიალების“ ნახვის სურვილი გამჩენია და ამიტომ ვერ დავიჯერებ, რომ დავით ბერძენიშვილმა თქვა ის, რასაც მედია წერს:

> **„პროდასავლური, თავისუფალი, დემოკრატიაზე ორიენტირებული, დისიდენტური, ანტისაბჭოთა აზროვნების და მომავალზე ორიენტირებული პოლიტიკური ძალების წრეში ბიძინა ივანიშვილი აღმოჩნდა არაკონკურენტუნარიანი“.**
>
> **„ლევან ბერძენიშვილის ბრალი არ არის, რომ მან თავის დროზე ბევრი წიგნი წაიკითხა. არც ირაკლი ალასანიას და რესპუბლიკელების ბრალია, თუ პოლიტიკური კულტურით ბიძინა ივანიშვილი ვერ დაგვეწია“.**

ეს მხოლოდ ორი ამონარიდია იმ ღრმა, ფუნდამენტური ანალიზით აღსავსე, მეტისმეტად თავმდაბლური (!) და მომავალში უცილობელი წარმატების მოპოვების ღრმა რწმენით გამსჭვალული გამოსვლიდან, რომლითაც საბოლოოდ დასამარდა კონკურენტუუნარო და პოლიტიკურად აბსოლუტურად უცოდინარი, უკულტურო ივანიშვილი, რომლის დახმარებითაც „ქართულმა ოცნებამ“ მოიპოვა ამომრჩეველთა 1,55 %-ის მხარდაჭერა, ხოლო რესპუბლიკურმა პარტიამ თითქმის 49%. (არაფერიც არ შემშლია. ბერძენიშვილის საუბრის ტონალობით ასე ჩანს).

მდაააა! აი, წარმოვიდგინე პოლიტიკური კულტურის მარათონში მოასპარეზე დავით ბერძენიშვილმა, დავით უსუფაშვილმა, ბუკა პეტრიაშვილმა, ირაკლი ალასანიამ სტარტზევე როგორ ჩამოიტოვეს ბიძინა ივანიშვილი და პირველებმა გადაკვეთეს ფინიშის ხაზი, სადაც მათ ყვავილებით ხელში შეეგებნენ თინიკო ხიდაშელი და მაიკო ფანჯიკიძე...

ეტყობა, ფანტაზია არ მეყო ამ უმშვენიერესი საღამოს ნახაობის და კიდევ უფრო გასახარელი საყოველთაო ყიჟინის წარმოსადგენად და ჩემი თავი დავაჯერე იმაში, რომ არც ასეთი იდიოტია დავით ბერძენიშვილი, რომ ასეთი სისულელე ეთქვა. ბოლოს და ბოლოს, ლევანის ძმაა ბერძენიშვილის და, ალბათ, ჟურნალისტებმა დაასხეს ნავთი ისედაც აალებულ ცეცხლს.

... ანდა, „ხიხოებად“ და „ვაკელებად“, „ქაჯებად“ და „სვეცკებად“,„ადგილობრივებად“ და „ჩამოთრეულებად“ როდიდან დაიწყეს პოლიტიკოსების დაყოფა. და თუ ამ თემასთან დაკავშირებული კომენტარების გაცნობისთვის დრო არ დაგენანებათ, დარწმუნდებით, რომ ეს, დაახლოებით, იმას ნიშნავს, ხონის ცენტრში დაბადებულმა ვინმე „ჩიორამ“ სოფელ გორდში ფეხადგმულ ვინმე „კაკოიას“ სულ ქაჯი და დეგენერატი ეძახოს...

ისე, ასეთ რეაქციებს რომ ვკითხულობ ან ვუსმენ, ხან ძველებური ბრძნულად ნათქვამი მახსენდება („ათასად კაცი დაფასდა, ათი ათასად ზრდილობა!“), ხან კი სოსო გრიშაშვილის საბავშვო ლექსი – „ბაქია და მკვეხარა!“

ძალიან ცუდია, რომ ამ თაობებს არ მოუსწრო იმ სახელმძღვანელომ, რომელშიაც დიდი იაკობ გოგებაშვილის სიბრძნით ჩადებული იყო ბევრი ისეთი ნაწარმოები, ბავშვი რომ ჭკუას, გონებას, პატრიოტიზმს, ადამიანებისადმი სიყვარულს, უფროს-უმცროსობას,ზნეკეთილობას სწავლობდა და ეჩვევოდა...

ახლა?

ჩემ მტერს!



ჰოდა, დავიჯერო, ყველა ეს უჯიშო, უზრდელი და უმადური მართლა ლომაია-შაშკინის „რეფორმირებულ“ ბაგა-ბაღსკოლაში 18 წელს მიტანებული შეიყვანეს?

ნეტავ, ამდენი უდედო დოქსოპულო, ამდენი დაუნახავი, ამდენი უზნეო, ბაქია და მკვეხარა საიდან გაჩნდა ამ ქვეყანაზე?

ნუგზარ ფოფხაძე

◎ კომპეტენტური აზრი

თუკი ღირსეული მესამე ძალა გამოჩნდება, ქართველი ამომრჩეველი მას მიაშურებს

ნომრის სტუმარია პოლიტიკურ მეცნიერებათა დოქტორი, ჯეიმსთაუნის ფონდის პოლიტიკური ანალიტიკოსი **ვასილ რუხაძე**

– ბატონო ვასილ, როგორ ფიქრობთ, რა აირჩია ქართველმა ამომრჩეველმა, რას მისცა ხმა? რა აჩვენა ამ არჩევნებმა როგორც საარჩევნო პროცესის, ისე გაკეთებული არჩევანის თვალსაზრით?

– უკანასკნელმა არჩევნებმა ბევრი რამ წარმოაჩინა. უპირველეს ყოვლისა, მან აჩვენა, რაოდენ ღრმადაა იმედგაცრუებული ქართველი ამომრჩეველი ყველა ოპოზიციური პოლიტიკური ძალით და მთლიანად ქართული ე.წ. პოლიტიკური ისტებლიშმენტით. პარლამენტში ვერ მოხვდა თითქმის ვერც ერთი პოლიტიკური პარტია, რომელიც ქართულ პოლიტიკურ ცხოვრებაში არცთუ დიდი ხნის წინათ გარკვეულწილად მნიშვნელოვან როლს თამაშობდა: ირაკლი ალასანიას „თავისუფალი დემოკრატები“, დავით უსუფაშვილის „რესპუბლიკური პარტია“, ნინო ბურჯანაძის „დემოკრატიული მოძრაობა“ და შალვა ნათელაშვილის „ლეიბორისტული პარტია“.

რაც შეეხება პარლამენტში შესულ პარტიებს, მიუხედავად იმისა, რომ „ქართულმა ოცნებამ“ არჩევნებში საერთო ხმების 49 პროცენტით გაიმარჯვა, უნდა ითქვას, რომ მის მიერ ამ არჩევნებში მიღებული 856 ათასი ხმა 325 ათასი ხმით ნაკლებია იმ 1.181 მილიონ ხმაზე, რომელიც „ქართული ოცნების“ კოალიციამ 2012 წელს მოიპოვა. ეს ნიშნავს, რომ მმართველი პოლიტიკური ძალა მომხრეებს სწრაფად კარგავს და, შესაბამისად, მისი პოლიტიკური ნიადაგი ნაკლებად მყარია. ამის კიდევ ერთი დამადასტურებელია ის ფაქტი, რომ „ქართულმა ოცნებამ“ მაჟორიტარული წესით პირველივე ტურში მხოლოდ 23 ოლქში მოიგო, დანარჩენ 50-ში კი ვერ შეძლო გამარჯვების მოპოვება და საქმე მეორე ტურამდე მივიდა.

რაც შეეხება „ნაციონალურ მოძრაობას“, მე ვფიქრობ, ეს არჩევნები ამ პარტიისთვის ნამდვილი პოლიტიკური კატასტროფა იყო. პარტიამ, რომელიც ხელისუფლებაში დასაბრუნებლად ემზადებოდა და რომლის ლიდერები და წევრები გამარჯვებას უწყვეტად წინასწარმეტყველებდნენ, ხმების მხოლოდ 27 პროცენტი მიიღო, ისიც – მისი მომხრეების სრული მობილიზაციის პირობებში. „ნაციონალურმა მოძრაობამ“ პროპორციული წესით წააგო ყველა საარჩევნო ოლქში, ზუგდიდის და მარნეულის რაიონების გარდა და პირველ ტურში ვერ მოიგო ვერც ერთ მაჟორიტარულ ოლქში.

ვფიქრობ, ამ არჩევნების შემდეგ „ნაციონალური მოძრაობის“, როგორც პოლიტიკური პარტიის არსებობა-არარსებობის საკითხი დგას. ის მძაფრი შიდაპარტიული ბრძოლა, რომელიც არჩევნებში მიღებულ მძიმე შედეგებს მოჰყვა, აუცილებლად გამოიწვევს „ნაციონალური მოძრაობის“ ხელმძღვანელობისგან ან მიხეილ სააკაშვილის ჩამოცილებას, ან პარტიის, სულ მცირე, ორ ნაწილად დაშლას (თუ არ ჩავთვლით უკვე ცალკე ჯგუფად ჩამოყალიბებულ „გირჩს“).

„ნაციონალური მოძრაობის“ ასეთი მძიმე მდგომარეობა იმით აიხსნება, რომ პარტიამ უკანასკნელი ოთხი წლის მანძილზე ვერ შეძლო რეფორმირება. მის მიერ წინა წლებში ფართოდ რეკლამირებული ე.წ. „რებრენდინგი“ მხოლოდ არაფრის მომცემი ლოზუნგი იყო და თვისობრივად არაფერი შეუცვლია. გარდა ამისა, პარტიის მიერ საარჩევნო სიებში შეყვანილი ე.წ. ახალი სახეები „ნაციონალური მოძრაობის“ საკმაოდ ძველი სახეები იყვნენ, რომელთაც საზოგადოებას პარტიის განახლების გრძნობა და შთაბეჭდილება ვერ შეუქმნეს.

„ნაციონალური მოძრაობის“, როგორც ორგანიზაციის გადარჩენა შესაძლებელია, მაგრამ პარტიას სჭირდება ფუნდამენტური რეფორმა და რეალურად ახალი სახეები, ახალი პოლიტიკური ლიდერები, რომლებიც ამ ორგანიზაციას ახალ სულს ჩაჰბერავენ და საფუძვლიანად განაახლებენ. მე არ ვფიქრობ, რომ დღეს პარტიის ლიდერებს, საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე, ეს სურთ ან ძალუძთ.

შესაბამისად, ქართველი საზოგადოება არ თვლის, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ მის ინტერესებს გამოხატავს. შედეგად ამომრჩეველმა პარტიას უარი უთხრა.

მთლიანობაში, 8 ოქტომბრის არჩევნებმა აჩვენა, რომ საქართველოს პარტიების აბსოლუტური უმრავლესობა პოლიტიკურად გაკოტრებული დაჯგუფებებია, რომელთა პოლიტიკური მომავალი საკმაოდ ბუნდოვანია.

> **8 ოქტომბრის არჩევნებმა აჩვენა, რომ საქართველოს პარტიების აბსოლუტური უმრავლესობა პოლიტიკურად გაკოტრებული დაჯგუფებებია, რომელთა პოლიტიკური მომავალი საკმაოდ ბუნდოვანია.**

არჩევნებმა ასევე ნათლად დაგვანახვა ქართველ საზოგადოებაში გავრცელებული ღრმა პოლიტიკური აპათია. შემთხვევითი არ არის, რომ ამომრჩეველთა 49 პროცენტმა, ანუ თითქმის ნახევარმა არჩევნებში მონაწილეობა არ მიიღო. საზოგადოების დიდი ნაწილი უბრალოდ არ იყო ჩამოყალიბებული, ვისთვის მიეცა ხმა, რადგან არ თვლიდა, რომ რომელიმე არსებული პოლიტიკური პარტია მისთვის ღირსეულ ალტერნატივას, ღირსეულ არჩევანს წარმოადგენდა.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ნათელია, რომ ქართველ საზოგადოებაში დიდია მზაობა მესამე პოლიტიკური ძალის, ახალი პოლიტიკური ლიდერების გამოჩენისთვის, რომლებიც ქვეყანას ახალი მიმართულებით წაიყვანენ. მართალია, დღეს ამგვარი ძალა პოლიტიკურ ჰორიზონტზე არ ჩანს, მაგრამ სრულიად შესაძლებელია, პროცესებმა მსგავსი ძალის გამოჩენა სწრაფად მოამწიფოს მომდევნო ოთხი წლის განმავლობაში.

– ალბათ, გახსოვთ რამდენიმე წლის წინათ ბიძინა ივანიშვილის მიერ გაკეთებული განცხადება, რომ ისურვებდა, ე.წ. მესამე ძალად „პატრიოტთა ალიანსი“ ეხილა. როგორ ფიქრობთ, იმუშავა ამ მხრივ ივანიშვილის ფაქტორმაც?

– სიმართლე გითხრათ, ივანიშვილის ამ განცხადებას არ ვიცნობ, მაგრამ ამას არსებითი მნიშვნელობა არა აქვს. მე ვფიქრობ, რომ პარლამენტში ისეთი ოდიოზური ჯგუფის მოხვედრა, როგორიც „პატრიოტთა ალიანსია“, კიდევ ერთხელ ნათლად აჩვენებს, რამდენად იმედგაცრუებულია ქართველი ამომრჩეველი ყველა – სახელისუფლებო თუ ოპოზიციური პარტიით.

როგორც ზემოთაც აღვნიშნე, ქართველი ამომრჩეველი მესამე, ახალ პოლიტიკურ ძალას ეძებს, რომელიც ქვეყანას ახალ მიმართულებას მისცემს. რა თქმა უნდა, პატრიოტთა ალიანსი ეს ძალა არ გახლავთ; მას უბრალოდ ამის საბაზისო ინტელექტუალური რესურსიც კი არ გააჩნია. მაგრამ უნდა ითქვას, რომ „პატრიოტთა ალიანსისათვის“ მიცემული ხმები დღევანდელი ქართული პოლიტიკური ისტებლიშმენტის წინააღმდეგ პროტესტის ხმები იყო.

იხ. 8 გვ.



იმპერატორებიც კი ხანდახან კომბოსტოს მოყვანას ამჯობინებდნენ სახელმწიფოს მართვას

„მივიღე გადაწვეტილება დროებით გავიდე პოლიტიკიდან“, — ირაკლი ალასანია პოლიტიკიდან წავიდა. ალასანიამ საკუთარი კანდიდატურა მოხსნა გორის 41-ე მაჟორიტარული ოლქის არჩევნებიდან, სადაც პირველადი მონაცემებით, 19,38%-ით მეორე ადგილი აიღო და მეორე ტურში უწევდა მონაწილეობის მიღება. ალასანიასთან ერთად „თავისუფალი დემოკრატები“ პარტიის წევრებმა ალექსი პეტრიაშვილმა, დავით ონოფრიშვილმა, გია ცაგარეიშვილმა, ზურაბ აბაშიძემ და ირაკლი ჩიქოვანმა დატოვეს. „თავისუფალი დემოკრატების“ გადაწყვეტილებას, პოლიტიკური ეთიკის თვალსაზრისით, სამაგალითოს უწოდებს ექსპერტი რამაზ საყვარელიძე, თუმცა აქვე ამბობს, რომ ალასანიას პოლიტიკიდან წასვლა დასანანია.

რამაზ საყვარელიძე დღეს ჩვენი სტუმარია.

— ბატონო რამაზ, როგორ ხსნით ირაკლი ალასანიას და ბუკა პეტრიაშვილის გადაწყვეტილებას, მიგაჩნიათ, რომ ამ ვითარებაში ეს იყო საუკეთესო გადაწყვეტილება?

— პოლიტიკაზე პრინიციპული უარი არ უთქვამთ, მაგრამ გავიმეორებდი დათო უსუფაშვილის მოსაზრებას, რომ არჩევნები თავისი შედეგის მიხედვით, ყველა შეგნებულ პარტიას აიძულებს, გადახედოს მიზეზს, რატომ ვერ მიიღო ის შედეგი, რისკენაც ისწრაფვოდა. ეს არ ეხება მარტო მათ, ვინც ვერ გადალახა 5%-იანი ბარიერი. ამ მხრივ ყველაზე წარმატებულ „ქართულ ოცნებასაც“ აქვს დასაფიქრებელი, რადგან მისი ამოცანა უფრო ამბიციური იყო, ვიდრე 48%-ის მოპოვება პროპორციულ სისტემაში. ასე რომ, ყველა პარტიას თავისი პოზიციების გადასინჯვის ამოცანა უდგას.

— გადასინჯვის ერთადერთი გზა შეიძლება პოლიტიკისგან დისტანცირება იყოს?

— რა თქმა უნდა, რადგან ეს პირველად არ ხდება და, ალბათ, არც უკანასკნელად. თავისთავად, პოლიტიკურ შეგნებაზე და პასუხისმგებლობაზე მიუთითებს, როდესაც მარცხის შემდეგ პოლიტიკური ლიდერი ტოვებს იმ პოზიციას, რომლისთვისაც ის იბრძოდა როგორც მაჟორიტარულ, ასევე პროპორციულ სისტემაში. ამ შემთხვევაში „რესპუბლიკელების“ და „თავისუფალი დემოკრატების“ პოზიცია სამაგალითოა პოლიტიკური ეთიკის თვალსაზრისით. უდავოა, რომ ალასანიას პოლიტიკიდან წასვლა დასანანია, მაგრამ ეთიკურობის თვალსაზრისით, პოლიტიკური პასუხისმგებლობის თავის თავზე აღება, სწორია.

— დავით უსუფაშვილი თვლის, რომ პოლიტიკიდან წასვლის დრო ახლა ნამდვილად არ არის. ალასანიას გადაწყვეტილება მხოლოდ იმით აიხსნება, რომ ვერ შეძლო ბარიერის გადალახვა? მიზეზი, რატომაც ალასანია დაუპირისპირდა მმართველ ძალას, ეს იყო თავდაცვის სამინისტროს ნ მაღალჩინოსნის დაკავება, რომლებიც დღემდე პატიმრობაში რჩებიან...

— ციხეში მყოფი ადამიანები არ უხსენებია, თუმცა, ალბათ, ლოგიკური იქნებოდა, ეს ფაქტი გაეხადა ერთ-ერთ მიზეზად, არც საგარეო კურსი დაუყენებია ალასანიას კითხვის ნიშნის ქვეშ. პრინციპში, გადაწყვეტილება ჩამოაყალიბა, როგორც თავისი პირადი გადაწყვეტილება ამ ბრძოლაში მიღებული შედეგით. ამ გადაწყვეტილებაში ფაქტებით სპეკულირება არ მომხდარა. რითი არის განპირობებული, ეს როგორც პეტრიაშვილმა, ისე ალასანიამ და სხვებმა უნდა ახსნან. შეიძლება, დრობით სხვა ინტერესი გაუჩნდათ, სადაც უფრო წარმატებული იქნებიან, როგორც ეს ალასანიამ თქვა. ადამიანის ცხოვრებაში პოლიტიკა არ არის ერთადერთი ღირებულება, რომლისთვისაც ძალისხმევას არ იშურებს. ვიცით, რომ იმპერატორებიც კი ხანდახან კომბოსტოს მოყვანას ამჯობინებდნენ სახელმწიფოს მართვას, შეიძლება რაღაცა ასეთი კომბოსტო მათაც ჰქონდეთ თავიანთ ცხოვრებაში.

— „მივიღე გადაწვეტილება დროებით გავიდე პოლიტიკიდან, არ ვიქნები პოლიტიკაში, მაგრამ ვრჩები ჯარისკაცად“, — ეს განცხადება ნიშნავს, რომ ალასანიამ პოლიტიკაში შემოსასვლელი კარი ღიად დატოვა?

— შეიძლება თვითონაც არა აქვს გადაწყვეტილი და არც უნდა დახუროს რომელიმე შანსი და მათ შორის პოლიტიკის მიმართულებით შემდგომი მოძრაობის შანსი. მაგრამ ამ კონკრეტულ შემთხვევაში ამოვიკითხე ლიდერის მაღალი პასუხისმგებლობის მოტივი — გამარჯვება ვერ მოიპოვა და ამიტომ მიდის, ვიდრე ის, რომ მას მომავალში რაღაცა ეგულება და ამიტომ მიდის.

— ასეთივე განცხადებით წავიდნენ პოლიტიკიდან „ახალი მემარჯვენეებიც“, ვხედავთ, რომ ქართული პოლიტიკური ველი მათ უკვე არ ღებულობს, შესაძლებელია, ალასანიას შემთხვევაშიც ანალოგიური ვითარება მოხდეს?

— ზოგადად, ადამიანები არაფრისგან დაზღვეული არ არიან, მათ შორის პოლიტიკური სუბიექტები და პარტიებიც, რა თქმა უნდა, შეიძლება განმეორდეს, მაგრამ საქართველოს პოლიტიკური ცხოვრება მემარჯვენეების პასიურობით, როგორც მიშა იტყოდა, არ ჩამოშლილა. ქართული პოლიტიკა აგრძელებს ცხოვრებას. ნუ ვიქნებით ნურც იმათი მსაჯული, ვინც წავა და ნურც იმ კატასტროფის მომლოდინე, რომ ამ წასვლით შეიძლება გამოუსწორებელი რამ მოხდეს ქვეყნის ცხოვრებაში.

თამთა ქარჩავა

ნაციონალები, როგორც ყოველთვის, იმას მაინც შეეცდებიან, ქვეყანა არიონ!

არჩევნები დასრულდა, ბოლო მონაცემებით, პროპორციულ არჩევნებში „ქართულმა ოცნებამ“ ხმების 48,6 %, „ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ“ კი 27,14 % მიიღო. 5%-იანი ბარიერი გადალახა „პატრიოტთა ალიანსმა“. როგორც ექსპერტი სოსო ცისკარიშვილი მიიჩნევს, უნდა ვივარაუდოთ, რომ მომავალი 4 წელი ქართული პოლიტიკის ისტორიაში შევა როგორც მიშას და ბიძინას ოცნებების ასრულება.

მიშას ოცნება რამდენად ასრულდა ძნელი სათქმელია, რადგან, როგორც მოსალოდნელი იყო და მთელი 4 წლიწადი ანონსდებოდა, „ნაციონალური მოძრაობა“ „საკუთარ ხმებს დაიცავს“!...

ამ 4 წლის განმავლობაში მედიაში ნაციონალების მიერ შექმნილი არეულობის თუ რევოლუციის რამდენიმე გეგმა გასაჯაროვდა — მათ ავთენტურობაზე საუბარი შორს წაგვიყვანს, მაგრამ ნაციონალების არჩევნების შემდგომი ქმედებიდან ნათლად ჩანს, რომ იყო ამ გეგმებში სიმართლის მარცვალი.

სოსო ცისკარიშვილი მიიჩნევს, რომ ნაციონალები დიდი ხანია, ამ დღისთვის ემზადებოდნენ და დესტრუქციების მოწყობის შანსს ხელიდან ნამდვილად არ გაუშვებენ.

„მცდელობა იქნება, რაც, საერთოდ, ვეღურად წარმოაჩენს ჩვენს ქვეყანას. არ აქვს „ნაციონალურ მოძრაობას“ საფუძველი, რომ თავს არ ავნოს და ამიტომ, სხვასაც არ დაინდობენ. იქნება საკმაოდ სერიოზული მცდელობა, რომ ყველაფერი თავიდან დაიწყოს, მაგრამ ნაკლებად მოსალოდნელია, შედეგს მიაღწიონ“, — აცხადებს სოსო ცისკარიშვილი.

ნაციონალების ერთ-ერთი ბოლო სცენარის მიხედვით, 8 ოქტომბრის ღამეს უნდა მომხდარიყო თბილისის ცენტრალური ქუჩების პიკეტირება, დაეწვათ ავტომანქანები, ერთი სიტყვით, მოეწყოთ არეულობა. ეს გეგმა ვერ განხორციელდა, თუმცა ნაციონალები არჩევნების შედეგებს მაინც აპროტესტებენ და თავს გამარჯვებულად აცხადებენ.

პოლიტიკური პარტიის პოზიცია ასე თუ ისე, გასაგებია — ის ყველა მეთოდს მიმართავს და არც ავანტიურაზე იტყვის უარს მცირე წარმატების მოსაპოვებლადაც კი — მით უმეტეს, როდესაც „ნაციონალურ მოძრაობაზეა“ საუბარი — 2003 წლის შემდეგ ცნობილია, რომ მათთვის წითელი ხაზები არ არსებობს.

მთელ ამ სიტუაციაში გაუგებარია ზოგიერთი რეიტინგული არასამთავრობო ორგანიზაციის პოზიცია — იქმნება შთაბეჭდილება, რომ მათთვის ცეცხლზე ნავთის დასხმა რატომღაც უფრო მომგებიანია, ვიდრე მდგომარეობის ობიექტური შეფასება. მეტიც, რომ არა საერთაშორისო ორგანიზაციების, მთლიანობაში, პოზიტიური შეფასებები, შესაძლოა, იმაზე ბევრად მწვავე სიტუაცია მიგვეღო, ვიდრე დღეს არის.

ბუნებრივია, ამ ყველაფერს ხორცი ვერ შეესხმებოდა მეგობარი ტელეკომპანიის მხარდაჭერის გარეშე, თუმცა, როგორც ექსპერტი არჩილ გამზარდია მიიჩნევს, „რუსთავი-2“-მაც კი ვერ გაბედა, ეგზიტპოლებით „ნაციონალური მოძრაობა“ გამარჯვებულად გამოეცხადებინა.

მართალია, დღევანდელ მდგომარეობას უკონტროლოს ვერ ვუწოდებთ, მაგრამ როგორც „ნაციონალური მოძრაობის“ ლიდერები იმუქრებიან, ბრძოლა ჯერ არ დასრულებულა.

განსაკუთრებით საინტერესოა, უკრაინიდან რა დირექტივებს მიიღებს მთავარი ოპოზიციური ძალა, რადგან ბოლო დროს სააკაშვილის ურთიერთგამომრიცხავი განცხადებებიდან შეუძლებელია ლოგიკური დასკვნის გაკეთება.

სავარაუდოდ, არა მხოლოდ საზოგადოებისთვის, არამედ თვით „ნაციონალური მოძრაობისთვისაც“ კი გაურკვეველია, ჩამოდის მიშა და იბრძვის ივანიშვილის წინააღმდეგ, თუ უკრაინელ პოლიტიკოსად რჩება. როგორც არჩილ გამზარდია მიიჩნევს, მიშამ ბოლოს განაცხადა, რომ ის უკრაინაში რჩება ჩინოვნიკად, ასე რომ, მის ჩამოსვლას არ უნდა ველოდეთ.

ერთია, ნაციონალების გეგმები და სურვილები, ხოლო მეორე — მათი რეალური შესაძლებლობები. არჩილ გამზარდია ვარაუდობს, რომ შესაძლოა, მცირე დესტრუქციებს ჰქონდეს ადგილი, მაგრამ როგორც 2003 წელს მოხდა — ქუჩაში გამოსვლა ხელისუფლების გადაცემის მოთხოვნით, ნაკლებად სავარაუდოა. გამზარდიას ვარაუდით, ისინი იმუშავებენ მანდატებზე, ანუ შედარებით მეტი მანდატი რომ მიიღონ, ვიდრე რეალურად მოიპოვეს.

„ვფიქრობ, ქვეყანა დიდ გართულებას არ უნდა ელოდეს, თუ რაღაც ხელოვნური ჩარევა არ მოხდა“, — მიიჩნევს გამზარდია.

სოსო ცისკარიშვილი თვლის, რომ ნაციონალები იმას მაინც შეეცდებიან, ქვეყანას ავნონ.

სხვათა შორის, მსგავსი მაგალითები უხვად გვაქვს, როდესაც „ნაციონალური მოძრაობა“ ცდილობდა, დასავლეთის თვალში ქვეყნის ხელისუფლების დისკრედიტაცია მოეხდინა.

„თუკი დღეს რაიმე შეიძლება ვავნოთ ჩვენს ქვეყანას, ეს არის ის, რომ ევროკავშირისთვის საკმაოდ მუქ ფერებში წარმოაჩინონ არჩევნები. შესაბამისად, მოსალოდნელი შედეგი იქნება კიდევ უფრო გახანგრძლივება ქართული ოცნების აღსრულებისა, რასაც ჰქვია ვიზალიბერალიზაცია“, — აცხადებს სოსო ცისკარიშვილი.

თუმცაღა, მოვლენები ისე ვითარდება, ყველაფრის მკადრეებელ ნაციონალებს კოვზი ნაცარში ჩაუვარდებათ!

ლალი ზირაქიშვილი

ამომრჩეველი თანამონაწილე გახდა სისტემის მიერ ჩადენილი უმსგავსობისა

„გილოცავთ არჩევნების დასრულების პროცესს, თუმცა არის შედეგები, რომელსაც არ გილოცავთ და ვერ მოგილოცავთ“, — განაცხადა „ეროვნული ფორუმის“ ლიდერმა კახა შარტავამ გუშინ გამართულ ბრიფინგზე. მისი შეფასებით, არჩევნები გაყალბდა და ამის საშუალება ხელისუფლებას ამომრჩეველმაც მისცა:

„ამომრჩეველი თანამონაწილე გახდა სისტემის მიერ ჩადენილი უმსგავსობისა. ბევრმა თავი გაიმართლა იმით, რომ დაშინდა, ბევრი გაიყიდა და მიყიდა საქართველოს მომავალი სისტემას, რომელმაც ძალიან დიდი ფული ჩადო ამ არჩევნებში და ამ ფულს აუცილებლად ამოიღებს. ათმაგად ამოიღებს. ამოიღებს ქვეყნიდან და ამისათვის მთლიანად ჩაიგდებს ხელში საქვეყნო რესურსს. დაადგება თავზე ყველა მოქალაქეს და ოჯახს. ყველა ოჯახში შევა, რათა აკონტროლოს, რათა დევნოს, რათა მთელი რესურსი საკუთარ თავზე წაიღოს. ამ პროცესში ამომრჩევლებმა მიიღეს მონაწილეობა. ასეთი არჩევანი პატივისცემას არ იმსახურებს“, — განაცხადა კახა შარტავამ.

* * *

ამომრჩეველი მრავალპარტიულობის აუცილებლობაში ვერ დავაჯერეთ, — ეს განცხადება „ეროვნული ფორუმის“ ლიდერმა კახა შარტავამ სპეციალურ ბრიფინგზე გააკეთა:

„თითოეული ეს პარტიული სუბიექტი არ არის დღეისათვის თვითკმარი პოლიტიკური წარმონაქმნი...ჩვენი აზრით, აუცილებელია ამ ვითარებაში რეალური, სერიოზული, კლასიკური ევროპული ტიპის პარტიის ჩამოყალიბება და ყველა სხვადასხვა პარტიაში გაფანტული რესურსის მოკრეფა...ჩვენ მზად ვართ, ვიყოთ პარტიული მსხვერპლი ასეთი პროცესისა და შევეწიროთ ამ მნიშვნელოვანი პროცესის დაწყებას სხვებთან ერთად“, — განაცხადა შარტავამ.

ირაკლი კობახიძე: „ნაციონალური მოძრაობა“ რთულ მდგომარეობაში აღმოჩნდა

ნაციონალური მოძრაობის გადაწყვეტილებას, პარლამენტში შესვლასთან დაკავშირებით, უკვე მოჰყვა შეფასებები სხვა პოლიტიკური ძალების მხრიდან. „ქართულ ოცნებაში“ ფიქრობენ, რომ ამ გადაწყვეტილების მიღება ოპოზიციურ პარტიაში გაუჭირდათ რადგან იციან, რომ მეორე ტურში ვერ გაიმარჯვებენ.

„რთულ მდგომარეობაში აღმოჩნდა ნაციონალური მოძრაობა. მათ ძალიან მაღლა აწიეს თამასა, ისინი საუბრობდნენ არჩევნების მოგებაზე, მიუხედავად იმისა, რომ ზუსტად იცოდნენ, რომ ამის არანაირი შანსი არ ჰქონდათ. ამან გამოიწვია იმედგაცრუება და ამ იმედგაცრუების მსხვერპლი არიან ახლა ისინი. მათ ზუსტად იციან, რომ ვერ მოიგებენ ვერც ერთ მეორე ტურს ამ არჩევნებში და ამის გამო ძალიან გაუჭირდათ გადაწყვეტილების მიღება. ჩვენ გვაქვს ჩვენი დღის წესრიგი, ჩვენი ამოცანაა ყველა მეორე ტურის მოგება,“ — განაცხადა ირაკლი კობახიძემ.

სანდრას მიშისტური ოცნებები

ზუგდიდში „ნაციონალური მოძრაობის“ მაჟორიტარობის კანდიდატი სანდრა რულოვსი აცხადებს, რომ დიდი შანსი აქვს, პირველივე ტური მოიგოს და მეორე ტურზე მერე დაფიქრდება. გუშინ „ნაციონალურ მოძრაობაში“ პოლიტსაბჭოს სხდომა გაიმართა, სადაც კენჭისყრით გადაწყდა, რომ პარტია პარლამენტის მანდატებზე უარს არ ამბობს და მეორე ტურშიც მიიღებს მონაწილეობას.

„ჩემთან ჯერ პირველი ტურია. მოგეხსენებათ, რომ ჯიხაშკარში იყო ძალიან დიდი გაყალბება, იყო ყუთების გატაცების და დამტვრევის ფაქტები, ამიტომ ჯერ ჩემთან დგას პირველი ტური. 22 ოქტომბერს ჩატარდება კვლავ ორ უბანში პირველი ტურის განმეორებით არჩევნები. ჩემ კონკურენტთან მაქვს მცირე სხვაობა, რა თქმა უნდა, მე არ მჯერა, რომ ეს პატარა სხვაობაც კი იყო. მე ჩემს თავს გამარჯვებულად ვთვლი. მე მგონი, არის დიდი შანსი, რომ მოვიგოთ პირველივე ტურში. მერე დავფიქრდები მეორე ტურზე“, — აღნიშნა რულოვსმა.

ჯიხაშკარში საარჩევნო უბნის დარბევისთვის კიდევ ერთი პირი დააკავეს

„შსს-ს სამეგრელო-ზემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის ზუგდიდის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა მიმდინარე წლის 8 ოქტომბერს ზუგდიდის რაიონის სოფელ ჯიხაშკარში 108-ე საარჩევო უბნის დარბევის ფაქტზე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 163-ე მუხლით, ზუგდიდის რაიონული სასამართლოს განჩინების საფუძველზე, 1957 წელს დაბადებული კტ. დააკავეს.

ასევე, დაკავებულია სოფელ ჯიხაშკარის 79-ე საარჩევნო უბანში მომხდარ ინციდენტში ბრალდებული პირიც. სამართალდამცველებმა 1962 წელს დაბადებული გ.მ. შემთხვევიდან რამდენიმე საათში დაიკავეს. ჯიხაშკარის ორივე საარჩევნო უბანში მომხდარ ფაქტებთან დაკავშირებით, გამოძიება გრძელდება. მიმდინარეობს ინტენსიური ოპერატიულ-საგამოძიებო მოქმედებები, დანიშნულია შესაბამისი ექსპერტიზები.“

საპარლამენტო არჩევნების საბოლოო შედეგები უკვე ცნობილია. მე-9 მოწვევის პარლემენტს სამი პარტია დაკომპლექტებს, რომელთაგან მმართველ „ქართულ ოცნებას“ სავარაუდოდ, საკონსტიტუციო უმრავლესობა ექნება.

რა საფრთხის წინაშე შეიძლება დადგეს ქვეყანა, როდესაც ძალაუფლება ერთი პოლიტიკური ჯგუფის ხელში იქნება კონცენტრირებული და რამდენად მნიშვნელოვანია „ნაციონალური მოძრაობის“ ყოფნა პარლამენტში, როგორც რეალური ოპოზიციური პარტიისა? ამ საკითხებზე „მეტრონომი“ პოლიტოლოგ კორნელი კაკაჩიას ესაუბრა.

მისცემს თუ არა ხმას გარეთ დარჩენილი პარტიების ელექტორატი „ნაცმოძრაობას“?

ექსკლუზიური ინტერვიუ პოლიტოლოგ კორნელი კაკაჩიასთან

— რას ნიშნავს ისეთი დემოკრატიის პირობებში როგორშიც საქართველოა, საკონსტიტუციო უმრავლესობის მოპოვება პარლამენტში? განიხილავთ ამას საფრთხედ?

— „ბუნებრივია, ამასთან დაკავშირებით გარკვეული რისკები არსებობს მით უმეტეს, თუ გადავხედავთ „ქართული ოცნების“ ლიდერების წინასწარ განცხადებებს, რომ ისინი პრეზიდენტის არჩევის წესის გადახედვას აპირებენ. ისინი თვლიან, რომ პრეზიდენტი პარლამენტმა უნდა აირჩიოს. თვითონ ეს არ არის დიდი ტრაგედია და ძალიან ბევრ ქვეყანაში ასე ხდება. პრეზიდენტი შეიძლება პარლამენტმა აირჩიოს.

— პარლამენტის მიერ არჩეული პრეზიდენტი დიდი ალბათობით მმართველი პარტიის ლოიალური იქნება. ესეც ნორმალური პროცესია?

— ზუსტად მაგის თქმა მინდოდა. ეს პროცესი მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნებოდა ნორმალური, თუ ჩვენ მულტიპარტიული პარლამენტი გვექნებოდა, სადაც საკონსტიტუციო უმრავლესობა მმართველ პარტიას არ ექნება.

ჩვენს შემთხვევაში გვაქვს რისკი, რომ „ქართულმა ოცნებამ“ აკონტროლოს როგორც აღმასრულებელი, ასევე პრეზიდენტის ხელისუფლება. გიორგი მარგველაშვილი ფორმალურად, მათი კანდიდატი იყო, თუმცა ის მაინც ცდილობდა, დამოუკიდებლად ემოქმედა. როგორც ვნახეთ, ეს „ქართულ ოცნებას“ არ მოეწონა. საფრთხე არსებობს, რომ ამ ხელისუფლებას დაემართოს ის, რაც ჩვენს ქვეყანაში ბევრ ხელისუფალს დაემართა. ცნობილია გამოთქმა. „ძალაუფლება რყვნის, აბსოლუტური ძალაუფლება აბსოლუტურად რყვნის“. ეს სამწუხარო მაგალითი სააკაშვილის დროს გვქონდა. საქართველო კონსოლიდირებული დემოკრატიის ქვეყანა რომ იყოს, შეიძლებოდა ასეთი შედეგი საზიანო არ ყოფილიყო, მაგრამ ისეთ ქვეყანაში, სადაც ლაპარაკია არაფორმალურ მმართველებზე, არის საუბარი, რომ ქვეყანას მართავენ პირები, რომლებიც საერთოდ არ იყრიან კენჭს, რა თქმა უნდა, ეს გარკვეულ პრობლემებს შექმნის ქვეყანაში. ამან შესაძლოა ცოტა ხანში მოსახლეობის მხრიდან უკმაყოფილება გამოიწვიოს, განსაკუთრებით მაშინ, თუ ხელისუფლება ამ ძალაუფლებით ბოროტად ისარგებლებს და მოინდომებს ხელისუფლების კონსოლიდაციას. სავარაუდოდ, მათ ძალაუფლების კონსოლიდაცია შეიძლება გამოუვიდეთ, იმ შედეგებიდან გამომდინარე, რა შედეგებიც მათ ამ არჩევნებში მიიღეს.

— „ნაციონალურ მოძრაობაზე“ მინდა გკითხოთ... პარტიაში დიდი ჯახირის შემდეგ მიიღეს გადაწყვეტილება პარლამენტში შესვლასთან დაკავშირებით. თქვენი აზრით, უნდა შესულიყო„ნაციონალური მოძრაობა“ მცირე მანდატების მიუხედავად პარლამენტში?

— პირველ რიგში, მინდა, აღვნიშნო, რომ არშესვლა იქნებოდა უპატივცემლობა საკუთარი ამომრჩევლის მიმართ. მოსახლეობის საკმაოდ დიდმა რაოდენობამ მისცა ხმა „ნაციონალურ მოძრაობას“. აქ მარტო იმაზე კი არ არის საუბარი, ეს რას მოუტანს ბიძინა ივანიშვილს და „ქართულ ოცნებას“, არამედ საუბარია ქვეყანას რამდენად არგებს ეს.

— როდესაც აცხადებ, რომ არჩევნები გაყალბდა და ამავდროულად პარლამენტში შედიხარ, ხომ აღიარებ ამ არჩევნების ლეგიტიმურობას?

— რამდენიმე პოლიტიკური პარტიის ლიდერი ამბობს, რომ არჩევნები გაყალბდა. მე მესმის მათი პოზიციების, მაგრამ რეალობასაც არ უნდა მოვწყდეთ. მესმის წინასაარჩევნო ემოციების, მაგრამ გადავხედოთ საერთაშორისო თანამეგობრობის და სამოქალაქო საზოგადოების რეაქციებს. ყველა აღიარებს, რომ ეს არჩევნები შედგა. ისინი ამბობენ, რომ ეს არჩევნები არ იყო იდეალური და ის შორს იყო 2012 წელს ჩატარებული არჩევნებისგან, მაგრამ ეს მთლიანობაში ამ შინაარსს არ ცვლის. ჩვენთან მუდმივად ასე იყო, არც ერთ პოლიტიკურ პარტიას და განსაკუთრებით დამარცხებულებს არ მოსწონდათ არჩევნების შედეგები. ირაკლი ალასანიას და დათო უსუფაშვილის აღიარება მართლა კონტრასტი იყო. მანამდე არ მახსოვს ვინმეს შედეგები ეღიარებინა. ეს ყველაფერი პოლიტიკურ კულტურაზე მიუთითებს. „ნაციონალურ მოძრაობას“ ჰყავს საკუთარი იდეოლოგიური ამომრჩეველი და მათი მხარდამჭერების საკმაოდ დიდი სოციალური ბაზაა. პარლამენტზე უარის თქმა მათგან იქნებოდა ღალატი და რაც მთავარია, ამით ძალიან ცუდ სამსახურს გაუწევდნენ ქართულ დემოკრატიას, რადგან ქართველი ხალხის ნაწილმა მათ მხარი დაუჭირა და ის ნაწილი თვლის, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ პარლამენტში უნდა იყოს. დემოკრატიის ძირითადი პრინციპი ის არის, რომ ჩვენ ვირჩევთ და ვქირაობთ დროებით ხელისუფლებას. მესმის, რომ თვითონ პარტიაში არის ორი ფრთა: ერთი რადიკალური, რომელსაც არ უნდა პარლამენტში შესვლა. ზომიერებამ გაიმარჯვა. თუ „ნაციონალური მოძრაობა“ პარლამენტში არ შევიდოდა ეს საქართველოსთვის ძალიან ცუდი იქნებოდა, რადგან ეს არის ერთადერთი მმართველი პარტია, რომელიც გადარჩა, განსხვავებით შევარდნაძის პარტიისგან, ან გამსახურდიას პარტიისგან. ეს პარტიები როგორც კი ლიდერები მიდიოდნენ, იშლებოდნენ.

— მე-9 მოწვევის პარლამენტში „ნაციონალური მოძრაობა“ თუ არ შევიდოდა მისი გადარჩენის საკითხი ეჭვქვეშ რატომ დადგებოდა?

— პარლამენტში ყოფნას უამრავი დადებითი მომენტი აქვს. იგივე საერთაშორისო კონტაქტები; ინტერსაპარლამენტო ურთიერთობები. „ნაციონალური მოძრაობას“ აქვს მწარე გამოცდილება, როდესაც „ქუჩის ოპოზიციამ“ იგივე გაუკეთა. ახლა თუ ისინი იგივეს გააკეთებდნენ, ეს მათი პოლიტიკური უმწიფრობის ნიშანი იქნებოდა.

— „ნაციონალური მოძრაობა“ თითქმის დარწმუნებულია, რომ მე-2 ტურში მათი კანდიდატები ვერ გაიმარჯვებენ. თქვენ ელით, რომ ის ადამიანები, რომლებმაც „რესპუბლიკელებს“, ალასანიას და სხვა პროდასავლურ ოპოზიციურ პარტიებს დაუჭირეს მხარი მე-2 ტურში მივლენ და „ნაციონალურ მოძრაობას“ მისცემენ ხმას, საკონსტიტუციო უმრავლესობა თავიდან რომ იქნას აცილებული?

— მაგაში დარწმუნებული არ ვარ. მე მინდა, მჯეროდეს რომ ამომრჩეველი ასე მოიქცევა, თუმცა, თუ ჩვენი ქვეყნის ისტორიას გადავხედავთ, ასეთი მაგალითი ძალიან ცოტა იყო. რამდენიმე ოლქში შესაძლოა ასეთი სასწაული მართლაც მოხდეს, მაგრამ თუ დინამიკას ვნახავთ, უფრო დიდი შანსია, რომ მმართველმა პარტიამ, რომელსაც მით უმეტეს უკვე აქვს უმრავლესობა, გაიმარჯვოს.

მარიამ ვარადაშვილი

◎ დევნილი ჟურნალისტის თხოვნა

არის გამოსავალი!

მოგეხსენებათ, ბიძინა ივანიშვილმა წინასაარჩევნოდ რეგიონულ პრესასთან შეხვედრისას განაცხადა: „გაჩნდა შანსი, რომ მეორე ადგილზე „ქართული ოცნების შემდეგ „თავისუფალი დემოკრატები“ გავიდნენ და ეს არის ძალიან კარგი შანსი“. არ ვიცი, ვინ დაიჯერა და ვინ არა, ეს პროგნოზი, მაგრამ მე ნამდვილად დავიჯერე. დავიჯერე, რადგანაც წარმოდგენილი პარტიებიდან ყველაზე უფრო „ირაკლი ალასანიათავისუფალი დემოკრატების“ პროგრამა მომეწონა. კერძოდ, იმ ნაწილში, რომელიც დევნილთა საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფას შეეხება.

შეგახსენებთ, რომ დევნილთა საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფა ერთ-ერთი უმწვავესი საკითხია ჩვენს ქვეყანაში. „ნაციონალების“ დროს კარგად გვახსოვს, დევნილებს ლამის ქვა და ჯოხით რომ მისდევდნენ. აკი კმაყოფილებით აღნიშნა კიდეც მიხეილ სააკაშვილმა, როგორც იქნა, დევნილები თბილისიდან გავყარეო. განკარგულებაც გამოსცა ამასთან დაკავშირებით: არც ერთ დევნილს თბილისში ბინა არ უნდა მიეღო, ფოცხო-ეწერში კი, ბატონო! „ოცნებამ“ ერთი შეხედვით, თითქოს „მოაგვარა“ ეს საკითხი. შემუშავდა გრძელვადიანი პროგრამა, ისე როგორც მთელ საქართველოში, დევნილებისთვის ბინები თბილისშიც გაიცა. პროცესი გრძელდება, მაგრამ ეს პროგრამა საკმარისზე მეტად გრძელვადიანი აღმოჩნდა: ტელეჟურნალისტ დავით აქუბარდიას გამოანგარიშებით (ერთ-ერთ თავის გადაცემაში აღნიშნა ამის შესახებ), ეს პროცესი, აღებული ტემპის შესაბამისად, დაახლოებით ოცდაათი წლის შემდეგ დასრულდება.

დიდი ბოდიში „ოცნებასთან,“ მაგრამ ეს არ არის საკითხის გადაწყვეტა. „თავისუფალ დემოკრატებს“ ამასთან დაკავშირებით, საინტერესო მოსაზრება აქვთ. მათ პროგრამაში ვკითხულობთ: „დევნილებისთვის სათანადო საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფა (როგორც ამას საერთაშორისო ვალდებულება მოითხოვს), შესაძლებელია ერთადერთ შემთხვევაში, თუ ხელისუფლება შეცვლის სტრატეგიას და დაიწყებს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებული პირებისთვის საცხოვრებელი კორპუსების მშენებლობის სახელმწიფო პროგრამის განხორციელებას“. მიაქციეთ ყურადღება: საცხოვრებელი კორპუსების მშენებლობასო! დიახ, ეს ასეა. მენაშენეებისგან აქაიქ ბინების შესყიდვა და პროცესის გაწელვა კი არა, დევნილებისთვის თბილისშიც და მთელ საქართველოში ერთბაშად უნდა აშენდეს საცხოვრებელი კორპუსები. სწორედ ეს იქნება პრობლემის ეფექტურად გადაჭრა.

ვფიქრობ, „თავისუფალ დემოკრატებს“ საარჩევნო კამპანია უკეთესად რომ წარემართათ, მარტო დევნილების ხმები ეყოფოდათ ბარიერის გადასალახად.

დევნილთა ინტერესების დაცვა ხელისუფლების ვალია. კარგი იქნება, თუ ამ საკითხით მომავალი პარლამენტი დაინტერესდება.

მზია გელენავა

ᲓᲘᲛᲘᲢᲠᲘ ᲥᲣᲛᲡᲘᲨᲕᲘᲚᲘ:

ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲐᲚ ᲘᲜᲓᲣᲡᲢᲠᲘᲣᲚ ᲖᲝᲜᲔᲑᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ ᲙᲐᲠᲒᲘ ᲞᲔᲠᲡᲞᲔᲥᲢᲘᲕᲐ ᲐᲥᲕᲡ

„თავისუფალ ინდუსტრიულ ზონებს საქართველოში აქვს ძალიან კარგი პერსპექტივა, რაც კიდევ უფრო გამყარდა ჩინეთთან თავისუფალ ვაჭრობაზე მოლაპარაკებების დასრულების შემდეგ. საქართველო დღეს არის უნიკალურ მდებარეობაზე უნიკალური შესაძლებლობებით. ეს არის ქვეყანა, რომელსაც აქვს წვდომა როგორც ევროპის, ასევე ჩინეთის ბაზარზე, საკმაოდ კარგი ლოჯისტიკით. აქედან გამომდინარე, ინდუსტრიის განვითარება და მის ფარგლებში ინვესტიციების მოზიდვა იქნება წარმატებული“ — აღნიშნა ქუმსიშვილმა.

შეგახსენებთ, რომ დიმიტრი ქუმსიშვილმა ჟურნალისტებთან საუბრისას განაცხადა, რომ ფოთის თავისუფალი ინდუსტრიული ზონის გასხვისებაზე ახალ ინვესტორთან მიმდინარეობს მოლაპარაკებები. მსხვილი ინდუსტრიული ჯგუფის დასახელება სავარაუდოდ, 60 დღეში იქნება შესაძლებელი.

„სახელმწიფო უკვე მუშაობს მსხვილ ინდუსტრიულ ჯგუფთან, თუ ჩვენ წარმატებით დავასრულეთ აღნიშნული მოლაპარაკებები 4 600-მილიონიან ინვესტიციებზე იქნება საუბარი თავისუფალ ინდუსტრიულ ზონაში,“ — აცხადებს მინისტრი და განმარტავს, რომ არაბული ჯგუფი „რაკია“ საქართველოში რჩება და ინვესტირებას განაგრძობს „შერატონში“, თბილისი მოლში.

„თავის დროზე რას ალ ხაიამას ხელისუფლება იყო ფოთის პორტის მფლობელი, რომელიც შემდეგ გაყიდეს. თავისუფალი ინდუსტრიული ზონა და ფოთის აეროპორტი იყო შემადგენელი ერთი კლასტერული ხედვის, რაც გააჩნდა რას ალ ხაიამს საინვესტიციო ხელისუფლებას. მას შემდეგ რაც პორტი გაიყიდა, ის ინვესტიციები, რაც უნდა ჩადებულიყო თავისუფალ ინდუსტრიულ ზონაში და აეროპორტში, აღარ განხორციელდა“, — განაცხადა ქუმსიშვილმა.

მინისტრი ამბობს, რომ აქედან გამომდინარე სახელმწიფო 100-150 მლნ დოლარის ღირებულების ქონებას იბრუნებს.

ᲒᲣᲓᲐᲣᲠᲘᲡ ᲐᲦᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲐ ᲒᲠᲫᲔᲚᲓᲔᲑᲐ

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲕᲘᲪᲔ-ᲞᲠᲔᲛᲘᲘᲠᲘ, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი დიმიტრი ქუმსიშვილი გუდაურს ეწვია და სამშენებლო სამუშაოები დაათვალიერა.

ეკონომიკის სამინისტროს მონაცემებით, გუდაურის სამთო-სათხილამურო ინდუსტრიის განვითარების საერთო პოტენციალის ზუსტი დადგენისთვის 2016 წელს კანადურმა კომპანია „ეკოსაინმა“ შეიმუშავა მიწათსარგებლობისა და განვითარების გენერალური გეგმა.

გუდაურის განვითარების გეგმა ფუნდამენტური დოკუმენტია კურორტის სწორი დაგეგმარებისა და განვითარების კუთხით. მასტერპლანმა გამოავლინა, თუ რა კუთხით უნდა გაგრძელდეს კურორტის განვითარება, ასევე მოიცავს განვითარების ისეთ უმნიშვნელოვანეს კომპონენტებს როგორიცაა საბაგიროების განლაგება და მშენებლობა, სათხილამურო გზების მომზადება, საჭირო აღჭურვილობის ეფექტური რაოდენობის განსაზღვრა, ხელოვნური გათოვლიანების სისტემის მოწყობა, ავტოსადგომის, გასართობი და კვების ობიექტები, მოთხილამურთა ოპტიმალური პოზიციონირება, სანიაღვარე გეგმა და სხვა.

განვითარების გეგმის პირველი ეტაპი მოიცავს 2400-მეტრიანი, 6-კაციანი ღია სავარძლის ტიპის საბაგიროს მშენებლობას და ორ საჩოჩიალოს. პირველმა ვიცე-პრემიერმა დაათვალიერა, როგორც საბაგიროს მშენებლობის პროცესი, ასევე სასტუმროების მშენებლობაც.

საბაგიროს მშენებლობას ახორციელებს Black sea Group, კურორტზე კი მონტაჟდება მსოფლიოში ერთ-ერთი წამყვანი მწარმოებლის Doppelmayr-ის საბაგირო.

2011-2012 წლების ზამთრის სათხილამურო სეზონთან შედარებით 2015-2016 წლები საგრძნობლად პროგრესირებს. ვიზიტიორების რაოდენობა 127%-ით არის გაზრდილი, ხოლო მრავალჯერადი ბილეთების გაყიდვის რაოდენობა 311%-ით. მრავალჯერადი ბილეთების მომხმარებლები კი ძირითადად უცხოელი ტურისტები არიან.

ახალ გუდაურში რამდენიმე მნიშვნელოვანი პროექტის განხორციელება იწყება.

კომპანია „რედკოს“ მიერ დაგეგმილი მშენებლობების პირველი ფაზა 10 ჰექტარის განვითარებას გულისხმობს. მისი განხორციელება 2016 წლის ნოემბერში დაიწყება და 5 წელიწადში დასრულდება. პროცესი კანადურმა კომპანიამ „ეკოსანმა“ შეიმუშავა და ახალ გუდაურში 26 ნაგებობის მშენებლობას მოიცავს.

პროექტით გათვალისწინებულია ბრენდული სასტუმროების, ასევე სასტუმროების ტიპის კომპლექსებისა და კოტეჯების მშენებლობა. ჯამში ამ პროექტს გუდაურს 1500 ნომერი დაემატება.

ამ ეტაპზე გაფორმებული მემორანდუმი Starwood Hotels and Resorts-თან, რომლის მიხედვითაც ახალ გუდაურში აშენდება Sheraton-ის ბრენდის სასტუმრო, ასევე ცვლილებები მოხდა Radisson-ის სასტუმროს მშენებლობის პროექტში.

Radisson-ის ბრენდის კომპლექსი წარმოდგენილი იქნება 200-ნომრიანი სასტუმროთი და 400-ნომრიანი აპარტამენტების ბლოკით. „რედკო“ კომპლექსის დასრულებას 2017-2018 წლების ზამთრის სეზონისთვის გეგმავს.

◎ ᲒᲔᲓᲜᲘᲔᲠᲘ ᲛᲒᲖᲐᲕᲠᲝᲑᲐ!

ᲒᲐᲜᲐᲮᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲙᲣᲡ ᲢᲑᲘᲡ ᲡᲐᲑᲐᲒᲘᲠᲝ

ᲒᲣᲨᲘᲜ კუს ტბის განახლებული საბაგირო გზა გაიხსნა. საბაგირო გზის გახსნას თბილისის მერი დავით ნარმანია და საკრებულოს თავმჯდომარე გია ალიბეგაშვილი დაესწრნენ. როგორც დავით ნარმანიამ აღნიშნა, ძალიან მნიშვნელოვანი საქმე გაკეთდა.

„გაკეთდა ძალიან მნიშვნელოვანი საქმე და აღდგა წლების განმავლობაში გაჩერებული საბაგირო, მთლიანად მოხდა საბაგიროს მოდერნიზაცია, გაკეთდა როგორც ვაგონები, ასევე გამოიცვალა გამწევი ტროსი“.

მისივე თქმით, განახლდა მოძველებული ინფრასტრუქტურა, გარემონტდა და უსაფრთხოების თანამედროვე სისტემებით აღიჭურვა ორივე, ქვედა და ზედა სადგური, დამონტაჟდა თანამედროვე მართვის პულტი, კაპიტალურად გარემონტდა გონდოლები.

როგორც თბილისის მერიაში აცხადებენ, სამუშაოების მიმდინარეობისას შენარჩუნდა სათბურებისა და გონდოლების ძველი იერსახე. დავით ნარმანიას ინფორმაციით, ეს ეკოლოგიურ უსაფრთხოებასაც შეუწყობს ხელს, რადგან გადატვირთული მოძრაობის პირობებში შესაძლებელია ჭავჭავაძეზე არსებულ პარკინგზე მანქანის გაჩერება და კუს ტბაზე საბაგიროს საშუალებით ასვლა. საბაგიროზე შესაძლებელია იმ ბარათების გამოყენება, რომელსაც ვიყენებთ მეტროსა და ავტობუსში.

თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის გიორგი ალიბეგაშვილის თქმით, საბაგირო 1965 წელს გაიხსნა, მას ისტორიული ღირებულება აქვს და კულტურული მემკვიდრეობის ნაწილია. გიორგი ალიბეგაშვილმა იმედი გამოთქვა, რომ მოქალაქეები აუცილებლად ისარგებლებენ ახალი საბაგიროთი.

როგორც თბილისის მერიაში აცხადებენ, კუს ტბის ახალ საბაგირო გზაზე თბილისელებს და დედაქალაქის სტუმრებს ორი გონდოლა მოემსახურება და ჭავჭავაძის გამზირიდან კუს ტბაზე მოხვედრა 6 წუთში იქნება შესაძლებელი. თითო გონდოლით 10-12 ადამიანი იმგზავრებს, მათ შორის ერთი მუდმივი გამცილებელი. გონდოლები და სადგურები ადაპტირებულია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის, მოსახლეობის მოთხოვნის გათვალისწინებით ველოსიპედის მოყვარულებისთვის გონდოლებზე სპეციალური ველოსაკიდები დამონტაჟდა.

სარემონტო სამუშაოები ტენდერში გამარჯვებულმა კომპანია „ბაგირმშენმა“ შეასრულა. პროექტის საერთო ღირებულება 1 100 000 ლარია.

ᲡᲐᲛᲡᲝᲜ ᲤᲘᲪᲮᲔᲚᲐᲣᲠᲘ

◎ ᲔᲙᲝᲚᲝᲒᲘᲣᲠᲘᲪ, ᲮᲔᲚᲛᲘᲡᲐᲬᲕᲓᲝᲛᲘᲪ...

�თᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲛᲝᲑᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲛᲣᲮᲢᲘ ᲡᲐᲓ�გᲣᲠᲔᲑᲘ ᲒᲕᲔᲥᲜᲔᲑᲐ

ᲙᲝᲛ�პᲐᲜᲘᲐ E-space-ი თბილისში ელექტომობილების დასამუხტი სადგურების მოწყობას გეგმავს. კომპანიის დამფუძნებელი სულხან გვალია რადიო „კომერსანტთან“ ამბობს, რომ მიმდინარე თვეში თბილისში, რამდენიმე სადგური მოეწყობა კუს ტბის ასახვევში და ევროპის მოედანზე, მთლიანობაში კი წელს სულ 25 სადგურის მოწყობაა დაგეგმილი. გვალიას განცხადებით, მომავალ წელს დასამუხტი სადგურების რაოდენობა მთელს საქართველოში 100-მდე გაიზრდება, ავტობანზე კი 3 სწრაფი დამტენი განთავსდება.

E-space-ის დამფუძნებელი ამბობს, რომ დღეისათვის დიდი კომპანიებისთვის, რომლებიც ელექტრომობილებს აწარმოებენ საქართველო საინტერესო არ არის, ამიტომ „E-space-მა“ ამ მიმართულებით ინვესტიციის განხორციელება გადაწყვიტა.

„უახლოეს 2-3 წელიწადში იმის პერსპექტივა, რომ ელექტრომობილების რაოდენობა მეტი იქნება, ვიდრე საწვავზე მომუშავე ავტომობილების, არ არის, თუმცა მთელს მსოფლიოში არის დინამიკა, რომ ელექტრომობილების რაოდენობა იზრდა. გარდა იმისა, რომ ელექტრომობილი ეკოლოგიის თვალსაზრისით საუკეთესო არჩევანია, ფასის მხრივ ბევრად მიმზიდველი ხდება . მათი ღირებულება 2-3 წელიწადში ერთხელ 30%-ით მცირდება და ხელმისაწვდომი ხდება მოსახლეობისთვის“, — აცხადებს გვალია.

მისივე განცხადებით, მომავალი წლის ბოლომდე მათ ქსელში ელექტრომობილების დამუხტვა უფასო იქნება და ეს გადაწყვეტილება კომპანიის ინვესტიციაა მომავალში.

რაც შეეხება ტექნიკურ დეტალებს, ე.წ ქალაქის ელექტრომობილებს კვირაში საშუალოდ 3-ჯერ დატენვა სჭირდება. სწრაფი დატენვის ხანგრძლივობა კი ნახევარი საათიდან საათ-ნახევრამდე გრძელდება.

E-space-მა ტექნოლოგია ავსტრიიდან შემოიტანა. სულხან გვალია ამბობს, რომ ჩაატარეს კვლევა, რომელი მწარმოებელია ყველაზე ეფექტური და კომპანია შესაბამისად შეარჩიეს. უახლოეს პერიოდში კომპანია ელექტრომობილების საკუთარი სალონის გახსნასაც გეგმავს, სადაც მომხმარებელს ავტომობილის შეძენა შეეძლება და სალონისთვის შესაბამისი ფართიც უკვე შერჩეულია. გვალია ამბობს, რომ დღეს მოქალაქეებს თვითონ შემოყავთ ავტომობილები. გასულ წელს მათი რაოდენობა 20 იყო, წელს კი საქართველოში სულ 50 ელექტრომობილია.

ᲡᲐᲚᲝᲛᲔ ᲡᲝᲡᲔᲚᲘᲐ

ქართველი ერის კვების ტრადიციები წინა აზიურ სივრცეში ყალიბდებოდა

ყველა დაავადების სათავე საკვებია!

საქართველოს ცალკეულ ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეს თავისი გუნებრივი და სამეურნეო სპეციფიკა ჰქონდა, რაც ეთნიკური ჯგუფის კვების თავისებურებას განაპირობებდა, ეს კი სათავეს ქართველთა პრეისტორიული შუმერულ-ქალდეური წარსულიდან იღებდა.

ქართველთა კვების სისტემისა და ხასიათის შესახებ for.ge-ს პროფესორი პაატა კოღუაშვილი ესაუბრა.

— რას გვეტყვით ქართველთა კვებით თავისებურებებზე? რამდენად აქტუალურია ეს საკითხი კვების მრეწველობაში არატრადიციული ტექნოლოგიების დანერგვის ფონზე, რაც საშიშროებას უქმნის ქართველთა ჯანმრთელობას?

— საქართველო უძველესი, თვითმყოფადი აგრარული კულტურისა და საკვებმოპოვების მოწინავე გამოცდილების ქვეყანაა. ქართველი ერის კვების ტრადიციები წინააზიურ სივრცეში ყალიბდებოდა, რომელიც სამართლიანად ითვლება უძველესი მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის განვითარების კერად. ისტორიულად ჩამოყალიბებული კვების ხალხური, ტრადიციული სისტემა კვლავაც ყოფითი კულტურის ფენომენად რჩება. მასში ვლინდება სასიცოცხლო უზრუნველყოფის კულტურის მემკვიდრეობითი ფასეულობანი, ეთნოსის დამახასიათებელი თვისებები (ეთნოკულტურა) და ეროვნული თვითშეგნება.

ქართველთა კვების სისტემაში შერწყმულია ბალახოვანი ველურად მზარდი საზრდო მცენარეები და მებოსტნეობის პროდუქტები: მწვანილი, სანელებელი, ბოსტნეული და მხალი; ასევე, ხიჩატელი (ტყის ხილი) და კულტურული ხილი. მემცენარეობის ტიპის ჩარჩოებში ქართველთა კვების სისტემიდან შეიძლება გამოვყოთ მემინდვრეობის ქვეტიპის კულტურული მცენარეები, ანუ ყველა საკვები ნივთიერების (ცილები, ცხიმები, ნახშირწყლები) წყარო: პარკოსანი (ცერცვი, ცერცველა, ხანჭკოლა, ოსპი, ბარდა, მუხუდო, ცულისპირა, ძაძა, უგრეხელი, ლობიო), ზეთოვანი (სელი), პურეული მარცვლეულები (ხორბალი, ფეტვი, ქერი, ჭვავი, შვრია).

— ქართველთა კვების რაციონში შერწყმულია, ერთი მხრივ, მემინდვრეობისა და მებოსტნეობის, მეორე მხრივ, მემინდვრეობისა და მევენახეობის პროდუქტები. ყოველივე ეს ბალანსირებულ ვეგეტარიანულ კვებას განაპირობებდა.

— მართლაც, პური (სახამებელი), სელის ზეთი, პარკოსნები (რომელიც შეიცავს მცენარეულ ცილას და ნახშირწყლებს), ბოსტნეული (ანუ იგივე ნახშირწყლები, ცილა, ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებები, ორგანული მჟავები), ველურად მზარდი ბალახოვანი მცენარეები (ნახშირწყალი, ცილა, დიეტური და სამკურნალო ნივთიერებები), კაკალი და თხილი (მცენარეული ცხიმი) ადამიანს აძლევს ყველა იმ აუცილებელ ნივთიერებას, რაც უზრუნველყოფს მის ნორმალურ ცხოველქმედებას. საქართველოში ბუნებრივი სამეურნეო პირობები ყველა სოციალური ფენისთვის ყოველთვის უზრუნველყოფდა კვების იდეალურ სისტემას. ამას ემატებოდა ცხოველური ცილის ძირითადი წყარო.

— ამრიგად, ხალხურ კვებით სისტემაში შეგვიძლია ეთნოსის თავისებურებებიც დავინახოთ?

— საკვებწარმოების ეროვნულ გამოცდილებაში წარმოჩენილია ეკოლოგიური, სამკურნალო, გერონტოლოგიური, ეკონომიკური და კულტურულ-სამეურნეო, რელიგიური და სოციალური ასპექტები. ჩვენში კვების დღიური განაწესი დამოკიდებული იყო წელიწადის დროზე, დასაქმებასა და შრომის ხასიათზე. საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში უმეტესად სამჯერადი კვება იყო დაწესებული. სულხან-საბა ორბელიანი საჭმლის მიღების დღიური განაწესის დამრღვევებზე ამბობდა: „არიან კაცნი პირუტყვისებრნი, რომელნი ჭამენ ოთხ და ხუთგზის. არს პირველი ჭამა განთიად — საუზმე, მეორე ჭამა — სადილი ანუ სამხარი, მესამე, სამხრის შემდგომად — ზარმელი, ხოლო მიმწუხრი — სერი და სერსა შემდგომად, რომელსა სერისკუდად უხმობენ“.

დღე-ღამეში თანამედროვე ადამიანი საკვებად იყენებს დაახლოებით 1,5-2 ლიტრ წყალს და 800 - 900 გრამამდე საკვებს. ჯანსაღი კვების რაციონს ადგენენ იმდაგვარად, რომ პასუხობდეს ადამიანის ორგანიზმის ინდივიდუალურ თავისებურებებს შრომის ხასიათის გათვალისწინებით; სქესობრივ და ასაკობრივ თავისებურებებს, საცხოვრისის კლიმატურ-გეოგრაფიულ პირობებს.

— ადამიანის კვების თავისებურებები, მოხმარებული საკვების ოდენობა და სტრუქტურა მრავალ ფაქტორზეა დამოკიდებული. აქედან გამომდინარე, მეტად მრავალფეროვანია კაცობრიობის რაციონიც, რომლის მიხედვითაც, კვების მრავალი ტიპის გამოყოფა შეიძლება.

— სხვათა შორის, ამერიკელმა მეცნიერმა კერიელმა დედამიწის ცალკეულ არეალებში საკვები ნივთიერებების წყაროების მიხედვით კვების 20 ტიპი გამოყო. ერთი და იგივე კვების ტიპი შეიძლება, დედამიწის მეტად დაშორებულ რეგიონებში არსებობდეს, მაშინ, როცა „გვერდიგვერდ“ მყოფნი განსხვავებული რაციონით იკვებებოდნენ. აღნიშნულ ტიპოლოგიას და, საერთოდ, დედამიწაზე კვების გვარობას სხვადასხვა ფაქტორი განაპირობებს, რომელთაგან უმთავრესია ბიოგეოკლიმატური პირობები, სოციალ-ეკონომიკური განვითარების ისტორიულ-კულტურული თავისებურებები, რელიგია, კვების ტრადიციები, წყლის გარემოსთან (ოკეანეებთან, ზღვებთან) ურთიერთობების შესაძლებლობა.

„კერიელის სქემაში“ დროსა და სივრცეს გარკვეული კორექტივები შეაქვს. ასე, მაგალითად, „ველური ლანდშაფტების“ კმაყოფაზე მყოფი ხალხები, განვითარების კვალობაზე, საკუთარ რაციონში ზრდიან კულტურული მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის პროდუქტებს. ეკონომიკური განვითარება იწვევს ცხოველური წარმოშობის პროდუქტების მოხმარების უპირატეს ზრდას. ამის მაგალითია იაპონია.

სხვათა შორის, საქართველო „კერიელის სქემაში“ შეტანილი არ არის. მიგვაჩნია, რომ ჩვენს ქვეყანას, როგორც მსოფლიო გაერთიანების სუბიექტს, უნდა მოენახოს საკუთარი ადგილი. კერძოდ, საქართველო უნდა მიეკუთვნოს იმ ქვეყანათა რიცხვს, რომლებიც, „კერიელის სქემით“, გაერთიანებულია მესამე ჯგუფში (სადაც, ასევე, არის შუა აზია, აფრიკის ჩრდილოეთი ნაწილი და სამხრეთ ევროპა). ამ ტერიტორიებზე მოსახლეობისთვის კალორიების მთავარ წყაროს მარცვლეული, მცენარეული და ცხოველური ცხიმები, ხოლო ცილის მთავარ წყაროს, სხვადასხვა სახეობის ხორცთან (მათ შორის, თევზთან) ერთად, პარკოსნები შეადგენს. ამასთან, საქართველოში გვაქვს ნახშირწყლების, ვიტამინებისა და მინერალური ნივთიერებების უმნიშვნელოვანესი წყარო: თაფლი, მრავალფეროვანი ხილი, ბოსტნეული, ბაღჩეული, კაკლოვანი და სხვა ტრადიციული კულტურები, რაც, საერთო ანგარიშით, ქართული კულინარიული ხელოვნების საფუძველს ქმნის და ამ ფონზე მეწარმეთა მხრიდან მეტი მოგების სურვილი და არატრადიციული ტექნოლოგიების დანერგვა საშიშროებას უქმნის ქართველთა მოდგმის არსებობას. მით უფრო მაშინ, როცა ყველა დაავადება გამოწვეულია საკვებით და, ზოგადად, კვებით.

ესაუბრა
მანანა ნოზაძე

უალკოჰოლო სასმელების ბაზარი და ექსპორტი

ალბათ, ბევრს ახსოვს ერთ დროს მავანთა მიერ გამოთქმული აზრი, საქართველო „თავის რჩენას“ ბორჯომითა და ჩაით შეძლებსო. მართალია, საბოლოო ჯამში, არც ჩაი აღმოჩნდა მაინცდამაინც პერსპექტიული და არც ბორჯომი — საკმარისი ქვეყნის სარჩენად, მაგრამ უალკოჰოლო სასმელები საქართველოში ყოველთვის იყო ბიზნესის ერთ-ერთი წარმატებული სფერო. ტრადიციული გაზიანი ლიმონათების შემდეგ ბაზარზე თანდათან შემოვიდა ცნობილი მსოფლიო ბრენდები, გამრავალფეროვნდა ქართული უალკოჰოლო სასმელები და საქართველოს ბაზარიც ამ მიმართულებით თანდათან გაიზარდა.

ბოლო მონაცემებით, საქართველოში უალკოჰოლო სასმელების ბაზარი ინარჩუნებს დადებით ტრენდს და 2015 წელს, 2014 წელთან შედარებით, გაიზარდა 10 %-ით, რასაც ადასტურებს მარკეტინგული კვლევების სააგენტო GAMMA, იმ საცალო ვაჭრობის აუდიტის მონაცემებზე დაყრდნობით, რომელიც 2007 წლიდან ტარდება 8 ქალაქში.

2015 წლის უალკოჰოლო სასმელების კატეგორიის შიდაგადანაწილება შემდეგნაირად გამოიყურება: მთლიან გაყიდვებში, 49,5 %-იანი წილით, ტკბილი გაზირებული სასმელები ლიდერობს, 25,5 % გაზირებულ მინერალურ წყლებზე მოდის, წყაროს წყლების წილი 15,5 %-ია, ცივი ჩაის წილი, რომლის გაყიდვების მოცულობა, წინა წელთან შედარებით, მნიშვნელოვნადაა გაზრდილი, 2 %-ია, ნატურალური წვენებისა და ნექტარების — 5,5 %, სხვა — 2 %.

მონაცემების მიხედვით, ერთი სული მოსახლე 2014 წლის განმავლობაში საშუალოდ 77,5 ლიტრ უალკოჰოლო სასმელს მოიხმარდა, 2015 წელს მოხმარების მაჩვენებელი 85,5 ლიტრამდე გაიზარდა.

მაჩვენებლების ზრდა განპირობებულია წყაროს წყლებისა და ცივი ჩაის გაზრდილი მოხმარებით. 2015 წელს გაზირებული სასმელების ბაზარზე 49 %-იანი წილით ლიდერობდა კომპანია Coca-Cola, მას მოსდევს „ნატახტარი“ (Efes-Georgia) — 17 %, Pepsico — 12 %, ქართული ლუდის კომპანია („ზედაზენი“) — 12 %, „კასტელ საქართველო“ — 4 %, სხვა დანარჩენი - 6 %.

როგორც მკვლევარები აცხადებენ, უალკოჰოლო სასმელების ბაზარი 2016 წელსაც დადებითად ვითარდება. განსხვავებული სიტუაციაა ექსპორტის მიმართულებით. წლებია, ექსპორტში ქართულ ღვინოსა თუ მინერალურ წყლებს მნიშვნელოვანი წილი უჭირავს, ბოლო დროს კი სასმელების ჩამონათვალში ქართული ლიმონათიც აქტიურად ფიგურირებს. ქართულ საექსპორტო პროდუქციას შორის ლიმონათი საინტერესო მიმართულებაა. სტატისტიკური მონაცემებით, 2015 წლამდე სასმელების ექსპორტი სტაბილურად მზარდი იყო, გასულ წელს კი კლების ტენდენციით ხასიათდებოდა.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ მოწოდებული ინფორმაციით, საქართველოში 2013 წელს მინერალური წყლებისა და ტკბილი გაზიანი სასმელების ექსპორტისგან, დაახლოებით, 17 მილიონი დოლარი შემოვიდა. 2014-ში აღნიშნული მონაცემი 28 მილიონი დოლარი იყო, 2015-ში კი მონაცემი მკვეთრად შემცირდა და ის 18 მილიონ დოლარს გაუტოლდა.

ირინა გურული

გრძელდება მსჯავრდებულების დასაქმება

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი პრობაციის ეროვნული სააგენტოს დახმარებით, სექტემბრის თვეში თბილისში, აჭარაში, იმერეთში, ქვემო ქართლში, კახეთსა და გურიაში კიდევ 21 პირობით მსჯავრდებული დასაქმდა.

პრობაციის ბიუროებმა ინდივიდუალურად შეისწავლეს თითოეული პრობაციონერის რისკები და საჭიროებები. შესაბამისი შეფასებებისა და გაცემული რეკომენდაციების საფუძველზე, პირობით მსჯავრდებულები სხვადასხვა სამსახურში (დისტრიბუცია, ხის საამქრო, ავტოსერვისცენტრი, პურის საცხობი, კეთილმოწყობის სამსახური, საქონლის ფერმა და ა.შ) დასაქმდნენ. მათი ყოველთვიური გამომუშავება, საშუალოდ, 400-500 ლარს შეადგენს.

პირობით მსჯავრდებულთა დასაქმების ხელშეწყობა პრობაციის ეროვნული სააგენტოს ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს. 2016 წლის განმავლობაში 124 პრობაციონერი დასაქმდა, 2012 წლის ოქტომბრიდან დღემდე კი — 518 პირობით მსჯავრდებული.

◎ ᲚᲔᲙᲕᲘ ᲚᲝᲛᲘᲡᲐ ᲡᲬᲝᲠᲘᲐ?!

ᲒᲔᲜᲓᲔᲠᲣᲚᲘ ᲡᲢᲐᲢᲘᲡᲢᲘᲙᲐ 2016 ᲬᲚᲘᲡ ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲖᲔ

ᲠᲝᲒᲝᲠᲘᲐ არჩევნების გენდერული სტატისტიკა, რა შედეგებით მივიდნენ საპარლამენტო არჩევნებზე პოლიტიკური სპექტრი და საარჩევნო ადმინისტრაციები და როგორი იქნება ქალთა სავარაუდო წარმომადგენლობა 2016 წლის მოწვევის პარლამენტში?

საქართველოს პარლამენტის 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნებისთვის ამომრჩეველთა ერთიან სიაში რეგისტრირებული ამომრჩევლის უმრავლესობას ქალები შეადგენენ. ცენტრალური საარჩევნო კომისიის მონაცემებით, ამომრჩეველთა 53, 76 პროცენტი ქალია. როგორც ცენტრალური საარჩევნო კომისიის გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარემ ზურაბ ხრიკაძემ გვითხრა, ქალთა წარმომადგენლობის მაჩვენებელი, 2012 წლის საარჩევნო სიასთან შედარებით, მინიმუმ 2 პროცენტითაა გაუმჯობესებული, თუმცა ეს ვითარება, თავის მხრივ, ვერ აისახა საარჩევნო სიებსა და მაჟორიტარ კანდიდატებს შორის სქესთა ბალანსის დაცვაზე.

— ტრადიციული დისბალანსია: პროპორციული სისტემით წარდგენილ კანდიდატებს შორის ჭარბობენ, რა თქმა უნდა, კაცები — 63 პროცენტი. შესაბამისად, 37 პროცენტი არის ქალი. ეს — ყველა პარტიის მიხედვით. მაჟორიტარულ სისტემაში, ტრადიციულად, კიდევ უფრო დიდი დისბალანსია: 82, 48 პროცენტი არის კაცი, 17, 52 პროცენტი — ქალი. დაახლოებით ასეთივე დისბალანსია იმ კანდიდატებს შორის, რომლებიც საინიციატივო ჯგუფების მიერ არიან წარდგენილი: 85 პროცენტი — კაცი და 15 პროცენტი — ქალი.

ქალთა ორგანიზაციები, საარჩევნო სიებისა და მაჟორიტარული კანდიდატების გენდერული ანალიზის საფუძველზე, ვარაუდობენ, რომ 2016 წლის მოწვევის პარლამენტში ქალთა წარმომადგენლობა ვერ გაუმჯობესდება. „ქალთა საინფორმაციო ცენტრის“ დირექტორი ელენე რუსეკი ფიქრობს, რომ ქალთა რაოდენობა არათუ გაიზრდება, შესაძლოა, შემცირდეს კიდეც და ჩამოსცილდეს 2012 წლის 12-პროცენტიან მაჩვენებელს.

— დიახ, ჩვენ გვგონია, რომ უკეთესი პარლამენტი, ქალთა მონაწილეობის რაოდენობის მხრივ, ალბათ, არ იქნება, მაგრამ ჩვენ იმედს ვიტოვებთ, რომ იქიდან გამომდინარე, რომ ბევრი სახე ქალებისა გამოჩნდა, რომლებიც კენჭს იყრიან, აქვთ გარკვეული გამოცდილება გენდერული თანასწორობის კუთხით, აქვთ გარკვეული ცოდნა, უკეთეს ამინდს შექმნიან პარლამენტში...

ელენე რუსეკი ფიქრობს, რომ ციფრებისა და სტატისტიკის მიღმა უკეთესი ამინდია ზოგადად საზოგადოებაშიც, სადაც გენდერული თანასწორობისა და გენდერული კვოტირების საკითხზე მკვეთრად შეცვლილია საზოგადოების რიტორიკა. ელენე რუსეკის აზრით, ეს თემები საზოგადოებისთვის უცხო ხილს აღარ წარმოადგენს, მიუხედავად იმისა, რომ მიდგომები და პოლიტიკოსთა დაპირებები ფორმალობას ვერ გასცდა. შესაბამისად კი, აშკარაა, რომ ქვეყნის არჩევით ორგანოებში წარმომადგენლობითი დემოკრატია არ არსებობს. ნიდერლანდების მრავალპარტიული დემოკრატიის ინსტიტუტის წარმომადგენელი აღმოსავლეთ ევროპის სამეზობლოში ლევან ცუცქირიძე აღნიშნავს, რომ ეს დამაზიანებელია საზოგადოებისთვის.

— მოცულობა მიჩნეულია საერთაშორისო ლიტერატურაში, რომ ეს უნდა იყოს მინიმუმ 30-35 პროცენტი იმისათვის, რომ ქალთა პერსპექტივა, ქალთა თვალსაზრისი წარმოჩენილ იქნეს მუშაობაში, პოლიტიკაში და ამან მეტ-ნაკლები გავლენა მოახდინოს, თორემ სხვა შემთხვევაში საზოგადოება დარჩება ან, ყოველ შემთხვევაში, მისი ნაწილი ერთგვარი ცინიკური პოზიციით იმის მიმართ, რომ, აი, ვინც არიან, ისინი რას აკეთებენ“.

ქალთა პოლიტიკაში ჩართულობის საჭიროებას დეკლარირებულად თითქმის ყველა პოლიტიკური პარტია აღიარებს, თუმცა ეს საკითხი რომ მათთვის პრიორიტეტად არ იქცა, გამოვლინდა როგორც საკანონმდებლო დონეზე, ისე უშუალოდ წინასაარჩევნოდ, როდესაც აქტიურ პოლიტიკაში მხოლოდ ერთეული ქალებისთვის აღმოჩნდა ადგილი. **კერძოდ, „ქართულმა ოცნებამ“ მაჟორიტარობის კანდიდატად მხოლოდ 4 ქალი წარადგინა, პარტიული სიის პირველ ოცეულში კი — 6. „ქართული ოცნების“ სრულ სიაში 155 კანდიდატიდან მხოლოდ 18-ია ქალი. „ნაციონალური მოძრაობის“ 200 კანდიდატიდან 48 ქალია. ამ მხრივ შედარებით უკეთ წარმოაჩინეს თავი თავისუფალმა დემოკრატებმა და რესპუბლიკელებმა, რომლებმაც პარტიულ სიაში 30-პროცენტიანი კვოტა დაიცვეს და, შესაბამისად, პარლამენტში შესვლის შემთხვევაში ბიუჯეტიდან კანონმდებლობით გათვალისწინებულ ფინანსურ დანამატს მიიღებენ. მათ მაჟორიტარებად 9-9 ქალი წარადგინეს, პარტიული სიის პირველ ოცეულებში კი — 7-7.**

ჩემთვის რამდენადაც ცნობილია, მათი სტრატეგია უნდა იყოს 2017 წლის არჩევნებისთვის განაგრძონ, ასე ვთქვათ, აქტიური ადვოკატირება კვოტებისა, თუმცა აქ არ არის გადაწყვეტილი, მაგრამ განიხილება ისიც, რომ მოხდეს ფოკუსირება ადგილობრივი თვითმმართველობის სისტემაზე მორგებული კვოტირების მექანიზმისა...

> **„ქართულმა ოცნებამ“ მაჟორიტარობის კანდიდატად მხოლოდ 4 ქალი წარადგინა, პარტიული სიის პირველ ოცეულში კი — 6. „ქართული ოცნების“ სრულ სიაში 155 კანდიდატიდან მხოლოდ 18-ია ქალი. „ნაციონალური მოძრაობის“ 200 კანდიდატიდან 48 ქალია. ამ მხრივ შედარებით უკეთ წარმოაჩინეს თავი თავისუფალმა დემოკრატებმა და რესპუბლიკელებმა, რომლებმაც პარტიულ სიაში 30-პროცენტიანი კვოტა დაიცვეს.**

ქალთა პოლიტიკური გაძლიერებისა და ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის გაზრდის მთავარ საშუალებად საქართველოში ქალთა მოძრაობის აქტივისტები გენდერული კვოტირების შემოღებას მიიჩნევდნენ. 2014-2016 წლებში საქართველოს პარლამენტმა ორჯერ ჩააგდო საკანონმდებლო დონეზე კვოტირების, როგორც გენდერული თანასწორობის, დროებითი ნორმის, განხილვის საკითხი, თუმცა 2016 წლის 8 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებისთვის წარდგენილი პარტიული სიებისა და მაჟორიტარი კანდიდატების რაოდენობრივი და გენდერული ანალიზის საფუძველზე კიდევ უფრო გამყარდა აზრი იმის შესახებ, რომ გენდერული თანასწორობის მიღწევა პოლიტიკაში შესაძლებელია კანონის ძალით და არა პოლიტიკოსების დაპირებებით. გაეროს განვითარების პროგრამის პროექტის ხელმძღვანელი მაკა მეშველიანი ამბობს, რომ ქალთა ორგანიზაციები ბრძოლას კვოტების მხარდასაჭერად საპარლამენტო არჩევნების შემდგომაც აქტიურად გააგრძელებენ.

რაც შეეხება გენდერულ ბალანსს, ზოგადად, 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებზე საქართველოს ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ არჩევნების გენდერული სტატისტიკის ფარგლებში შეკრიბა და გამოაქვეყნა როგორც ამომრჩევლისა და საარჩევნო სიების გენდერული ბალანსის სტატისტიკა, ასევე დამკვირვებლების, მედია და საარჩევნო სუბიექტებისა და საარჩევნო ადმინისტრაციების სტატისტიკაც. ამ მონაცემების თანახმად, 76 პროცენტით მამაკაცები ჭარბობენ ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში, ძირითად და დროებით ოლქებში კი უმრავლესობაში ქალები არიან. საარჩევნო სუბიექტების წარმომადგენელთა შორისაც 54 პროცენტით უპირატესობა ქალებს აქვთ, მედიის წარმომადგენლებს შორის 61 პროცენტით კაცები ლიდერობენ, 67 პროცენტია ქალთა წარმომადგენლობა ადგილობრივ სადამკვირვებლო ორგანიზაციებში, საერთაშორისო ორგანიზაციებში კი ქალებისა და მამაკაცების ბალანსი იდეალურად, 50-50-ზე პროცენტითაა დაცული.

ᲜᲝᲜᲐ ᲛᲭᲔᲓᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ

„ᲜᲐᲪᲘᲝᲜᲐᲚᲣᲠᲘ ᲛᲝᲫᲠᲐᲝᲑᲐ“ ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲔᲑᲛᲐᲪ ᲓᲐᲐᲖᲐᲠᲐᲚᲐ!

ᲛᲝᲡᲐᲮᲚᲔᲝᲑᲐᲡ ᲛᲘᲡᲘ ᲛᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲐᲕᲢᲝᲠᲘᲢᲐᲠᲣᲚᲘ ᲡᲢᲘᲚᲘ ᲐᲠᲐᲡᲝᲓᲔᲡ ᲓᲐᲐᲕᲘᲬᲧᲓᲔᲑᲐ!

„ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ექს-პრეზიდენტი მტკიცედ იყო დარწმუნებული, რომ საპარლამენტო არჩევნებში მისი პარტია „ნაციონალური მოძრაობა“ გაიმარჯვებდა და საქართველოში იგი ტრიუმფალურად დაბრუნდებოდა, მაგრამ მის გეგმებს ასრულება არ ეწერა — გაიმარჯვა „ქართულმა ოცნებამ“, — წერს „ველტის“ ჟურნალისტი იულია სმირნოვა სტატიაში, რომელშიც საკმაოდ ვრცლადაა გამოცემული როგორც წინასაარჩევნო კამპანიის, ასევე თვით არჩევნების პროცესის ამსახველი ფაქტები და წინასწარი შედეგები.

„ბოლო ოთხი წლის განმავლობაში საქართველოს მთავრობას ქვეყანა პროდასავლური კურსით მიჰყავდა. 2014 წელს ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმდება გაფორმდა, დღეს საქართველო ვიზალიბერალიზებას ელოდება. მეზობელ ქვეყნებში, კერძოდ, რუსეთსა და უკრაინაში შექმნილმა მძიმე ეკონომიკურმა ვითარებამ ნეგატიური გავლენა საქართველოს ეკონომიკაზეც მოახდინა და ასეთმა მდგომარეობამ მთავრობას არჩევნებზე ხმები დააკარგვინა. არასახარბიელო სოციალურ-ეკონომიკური სიტუაცია ხელისუფლებისათვის მომავალშიც ერთ-ერთი სერიოზული გამოწვევა იქნება“, — აღნიშნულია სტატიაში.

რაც შეეხება „ნაციონალურ მოძრაობას“, სტატიის ავტორი წერს, რომ მათ ბანაკში იმედგაცრუება იგრძნობა, ისინი უფრო მეტი ხმების მიღებას ელოდებოდნენ.

„ალბათ, პარტია გარკვეულწილად საკუთარი ლიდერის მიხეილ სააკაშვილის განცხადებებმაც დააზარალა. მოსახლეობას არ დავიწყებია მისი მმართველობის ავტორიტარული სტილი... „ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ“ არჩევნებში დამარცხებიდან დასკვნები უნდა გააკეთოს. ამჟამად საქართველოში საპროტესტო განწყობა არ იგრძნობა. მოსახლეობას უფრო მეტად ისეთი ოპოზიციური პარტიის ხილვა სურს, რომელშიც სერიოზული პროფესიონალი პოლიტიკოსები იქნებიან და რომელიც ქართველ საზოგადოებას კონსტრუქციულ პროგრამას შესთავაზებს“, — აღნიშნულია მასალაში.

„Die Welt“ (ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲐ)

◎ ᲙᲝᲛᲞᲔᲢᲔᲜᲢᲣᲠᲘ ᲐᲖᲠᲘ

ᲗᲣᲙᲘ ᲦᲘᲠᲡᲔᲣᲚᲘ ᲛᲔᲡᲐᲛᲔ ᲫᲐᲚᲐ ᲒᲐᲛᲝᲩᲜᲓᲔᲑᲐ, ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲐᲛᲝᲛᲠᲩᲔᲕᲔᲚᲘ ᲛᲐᲡ ᲛᲘᲐᲨᲣᲠᲔᲑᲡ

(ᲛᲔᲡᲐᲛᲔ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ)

— ამომრჩეველი თუ გაიზარდა პოლიტიკური თვალსაზრისით?

— ამ კითხვაზე პასუხის გაცემა არცთუ ისე ადვილია, რადგან ძნელია იმის განსაზღვრა, თუ რას გამოვიყენებთ ამომრჩევლის პოლიტიკური ზრდის საზომად. მე ისევ გავიმეორებდი, რომ დღეს ამომრჩეველი ღრმა იმედგაცრუებას და აპათიას არის მიცემული. 8 ოქტომბერს ამგვარმა არაენთუზიასტურად განწყობილმა ამომრჩეველმა არჩევანი გააკეთა, მისი აზრით, ყველაზე ნაკლებად ცუდი პოლიტიკური ძალის სასარგებლოდ. მე მჯერა, რომ თუკი ღირსეული მესამე ძალა გამოჩნდება, ქართველი ამომრჩეველი სრულიად კანონზომიერად მას მიაშურებს.

— როგორ აფასებთ ირაკლი ალასანიას გადაწყვეტილებას პოლიტიკიდან დროებით წასვლის თაობაზე?

— ალასანიას პოლიტიკიდან წასვლა ქართული პოლიტიკური ელიტებისთვის დამახასიათებელი სენის კიდევ ერთი გამოხატულებაა: პირველივე სერიოზულ დაბრკოლებასთან შეხვედრისთანავე ქართველი პოლიტიკოსები ასპარეზს ტოვებენ და გარბიან, უკან კი მემკვიდრეობად ტოვებენ პოლიტიკურად გაკოტრებულ და სტრუქტურულად დაშლილ პარტიებსა და ათასობით იმედგაცრუებულ მომხრეს.

პოლიტიკა და, საერთოდ, საზოგადოებრივი მოღვაწეობა ძალიან მძიმე საქმეა: პოლიტიკოსს, ბევრ სხვა რამესთან ერთად, მძიმე დამარცხების ატანაც უნდა შეეძლოს. საკუთარი მიზნისთვის და იდეისთვის ბრძოლას, თუკი პოლიტიკოსს და საზოგადო მოღვაწეს ასეთი გააჩნია, ყოველთვის აქვს აზრი. მე არ მესმის, რას ნიშნავს „პოლიტიკიდან დროებით წასვლა“, როგორც ალასანიამ განაცხადა, ან რამდენად დროებითი თუ მუდმივი იქნება მისი წასვლა, მაგრამ ვთვლი, რომ მას ბრძოლა აუცილებლად უნდა გაეგრძელებინა.

ᲛᲔ ᲘᲛᲔᲓᲘ ᲛᲐᲫᲕᲡ ᲓᲐ ᲛᲢᲙᲘᲪᲔᲓ ᲛᲯᲔᲠᲐ, ᲠᲝᲛ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲚᲘᲓᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲗᲐᲝᲑᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲐᲣᲪᲘᲚᲔᲑᲚᲐᲓ ᲨᲔᲛᲝᲕᲐ ᲥᲐᲠᲗᲣᲚ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠ ᲐᲡ�პᲐᲠᲔᲖᲖᲔ, ᲒᲐᲪᲘᲚᲔᲑᲘᲗ ᲣᲤᲠᲝ ᲛᲢᲙᲘᲪᲔ, ᲑᲠᲫᲝᲚᲘᲡᲣᲜᲐᲠᲘᲐᲜᲘ ᲓᲐ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲐᲓ ᲡᲘᲪᲝᲪᲮᲚᲘᲡᲣᲜᲐᲠᲘᲐᲜᲘ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ.

ᲔᲡᲐᲣᲑᲠᲐ
ᲘᲐᲙᲝᲑ ᲘᲡᲐᲙᲐᲫᲔ,
„ᲐᲥᲪᲔᲜᲢᲘ“

უცნობი გენერალისიმუსი...

სტალინი. პირადი ცხოვრება

იაკობ ჩადაევის მოგონებები

ჩაწერილია გ. ა. კუმანევის მიერ

აპირებდა თუ არა სტალინი მოსკოვიდან ევაკუირებას

გ.ა. კუმანევი: აპირებდა თუ არა ი.ბ. სტალინი ათას ცხრაას ორმოცდაერთი წლის ოქტომბრის კრიტიკულ დღეებში მოსკოვიდან ევაკუირებას? „საბჭოთა კავშირის დედაქალაქ მოსკოვის ევაკუირების შესახებ“ 1941 წლის დაცვის სახელმწიფო კომიტეტის 15 ოქტომბრის №801 დადგენილებაში, რომელიც სამოციან წლებში კრემლის არქივში აღმოვაჩინე, პირდაპირ არის ნათქვამი: – მდგომარეობის მიხედვით ამხ. სტალინი ხვალ ან ზეგ მოსკოვიდან ევაკუირებსო... ამ ბოლო დროს გაჩნდა პუბლიკაციები, სადაც მხარდაჭერილია ვერსია, რომლის მიხედვითაც, სტალინი თანახმა იყო დაეტოვებინა დედაქალაქი.

ი.ე. ჩადაევი: ეს ტყუილია, არ არის მართალი, არ შეესაბამება სინამდვილეს. კარგად მახსოვს, ოქტომბრის შუა რიცხვებში, სახკომსაბჭოს გარკვეული ნაწილისა და საქმეთა სამმართველოს კუიბიშევში ევაკუირების წინა დღეს, გამოსამშვიდობებლად დაცვის იმ ოთახში შევედი, სადაც ნ.ს. ვლასიკი იმყოფებოდა. იმ დროს მე და ის უკვე კარგად ვიცნობდით ერთმანეთს, ხშირად ოჯახებითაც ვსტუმრობდით.

დედაქალაქიდან ჩემი გამგზავრების ამბავი რომ შეიტყო, სტალინის დაცვის უფროსი შეწუხდა, მაგრამ, ისიც მითხრა, არა უშავს, მალე დაბრუნდებითო.

– დიახ, დარწმუნებული ვარ-მეთქი, – ვუთხარი.

– სტალინიც დარწმუნებულიაო, – თქვა დაბეჯითებით ვლასიკმა.

– მაგრამ, ხომ არ ყოფილა იმაზე ლაპარაკი, რომ უკიდურეს შემთხვევაში ისიც გადმოვიდოდა ჩვენთან კუიბევში?

– ვიცი, რომ იყო ლაპარაკი სტალინსა და ჟდანოვს შორის, მაგრამ უფროსმა მტკიცედ განაცხადა, რომ ამაზე ხმაც არავის ამოეღო, ვინაიდან არსად წასვლას არ აპირებდა და ბოლომდე მოსკოვში დარჩებოდა თავის პოსტზე... მიუხედავად ამისა, ჩვენ მაინც გავამზადეთ პატარა სპეციალური მატარებელი, რომელიც უკვე მზად არის გასამგზავრებლადო – მითხრა ვლასიკმა.

– ამხანაგმა სტალინმა, რა თქმა უნდა, არ იცის იმ მატარებლის შესახებ? – ვკითხე ისევ ვლასიკს.

– ჯერ არ იცის, მაგრამ დღეს ან ხვალ, ალბათ, გაიგებს.

მოგვიანებით ვოზნესენსკიმ, კალინინმა, პოსკრებიშევმა და კიდევ რამდენიმე თანამშრომელმა დამიდასტურა, რომ სტალინი არ აპირებდა მოსკოვიდან ევაკუირებას.

* * *

ომიდან რამდენიმე წლის შემდეგ ამ საკითხზე მწერალ პეტრე პროსკურინის წიგნში –„სახელი შენი“ – წავიკითხე შემდეგი სტრიქონები:

„მას (სტალინს) გაახსენდა ორმოცდაერთი წლის შემოდგომაზე მიღებული გადაწყვეტილება, მოსკოვიდან მისი კუიბიშევში დაუყოვნებელი ევაკუირების შესახებ და გონებაში ცხოვლად წარმოუდგა: ცხრამეტი ოქტომბრის დილა, როგოჟსკო-სიმონოვსკის ჩიხი, სპეციალური მატარებელი, ცარიელი ბაქანი, მხოლოდ მის გასაცილებლად სასწრაფოდ მოსული ამხანაგები.

... მისი სახე არავის დაუნახავს. მისთვის ჩვეული აუჩქარებელი ნაბიჯით ბაქნის კიდესთან მივიდა, ისე, რომ სიტყვაც არავისთვის უთქვამს, მკვეთრად შეტრიალდა, წელში ჩვეულებრივზე მეტად მოიხარა, მივიდა თავის მანქანასთან, ჩაჯდა, მიატრიალებინა მანქანა და წავიდა“. ვ.მ. მოლოტოვთან შეხვედრისას მე მას ამ პუბლიკაციის შესახებ მოვუყევი და ვკითხე, იყო თუ არა ამგვარი რამ ნამდვილად? მოლოტოვმა ამაზე უარყოფითად მიპასუხა, თქვა რომ მწერალ პეტრე პროსკურინს, ეტყობა, მდიდარი ფანტაზია აქვსო.

ხელმძღვანელები სტალინის გარემოცვიდან

გ.ა. კუმანევი: ომის წლებში, როდესაც საბჭოთა კავშირის სახკომსაბჭოს საქმეთა მმართველის თანამდებობა გეკავათ, არა მხოლოდ სტალინთან გიწევდათ მუდმივად შეხვედრა, არამედ, როგორც ბევრ სახელმწიფო და პოლიტიკურ მოღვაწესთან, ისე მაღალი ჩინის სამხედრო პირებთანაც. ასრულებდით მათ დავალებებს, ისმენდით რჩევებსა და აზრებს სხვადასხვა საკითხზე. აქედან გამომდინარე, ხომ არ შეგიძლიათ მოკლედ დაახასიათოთ რამდენიმე ხელმძღვანელი პირი სტალინის უახლოესი გარემოცვიდან?

ი.ე. ჩადაევი: სტალინის თანამებრძოლები, უპირველეს ყოვლისა, მისი უახლოესი გარემოცვიდან, თითქმის ყველანი ინიციატივიანი, საკმაოდ განათლებული, გამოცდილი, პოლიტიკურად მომზადებული, ორგანიზატორული ნიჭით დაჯილდოებული ადამიანები იყვნენ, ხოლო ზოგიერთი მათგანი უნიჭიერესიც, თუმცა ხასიათით, მუშაობის სტილით და საქმიანობით მნიშვნელოვნად განსხვავებული. ამასთან, თითქმის ყველას რევოლუციური ბრძოლისა და საზოგადოების სოციალისტურ გარდაქმნაში მონაწილეობის სერიოზული სკოლა ჰქონდა გავლილი. სტალინის გვერდით მუშაობა დიდი პატივი იყო, მაგრამ არცთუ იოლი, პარტიის ბევრმა ხელმძღვანელმა მუშაკმა სიცოცხლე ტრაგიკულად დაამთავრა.

მართალი გითხრათ, მათი უმეტესობა უდიდეს პატივს სცემდა და გულწრფელად აღიარებდა თავისი ბელადის დიდ ნიჭს, სწამდა, რომ ყველა მისი გადაწყვეტილება და ქმედება იყო სწორი, მხოლოდ ერთი სურვილით ნაკარნახევი – გაძლიერებულიყო საბჭოთა სახელმწიფო, საბჭოთა ხალხს მიეღწია სასურველი მიზნისათვის, ხოლო დიდ სამამულო ომში, რაც შეიძლება მალე გაენადგურებინა საძულველი მტერი და გაემარჯვა.

აი, ახლა კი გადავალ სტალინის ზოგიერთი თანამებრძოლის მოკლე და შეიძლება, სუბიექტურ დახასიათებაზე.

* * *

ვ.მ. მოლოტოვი. უნდა ვაღიარო, რომ მოლოტოვის მიმართ დიდ და გულწრფელ პატივისცემას ვგრძნობდი. სტალინის უახლოეს გარემოცვაში, ეს იყო ძალიან აქტიური, მტკიცე, შეუპოვარი, ძლიერი ნებისყოფის პიროვნება, ადამიანი, რომელსაც შეეძლო საქმეს მთელი არსებით მისცემოდა, არაფერი დაეშურებინა ქვეყნის სასიკეთოდ. იყო ასკეტი სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით, უკიდურესობამდე მოკრძალებული მოთხოვნილებებსა და სურვილებში. ცხოვრობდა კრემლში, პატარა, უბრალოდ მოწყობილ ბინაში. იყო საოცრად შრომისმოყვარე, მისთვის მთავარი მხოლოდ საქმე, მხოლოდ შრომა იყო. მუშაობისას დრო როგორ გადიოდა, ვერ გრძნობდა, საქმეს მთელი თავისი არსებით, გონებით, ნებელობით ეძლეოდა. თავისი ამ თავდადებულობით სხვებსაც აავადებდა და ისინიც მზად იყვნენ, დღე და ღამე ემუშავათ, რათა მოლოტოვის დავალება ისე შეესრულებინათ, მისი ნდობა და მოწონება დაემსახურებინათ. მაგრამ შექებაში ძუნწი იყო. სამუშაო რაც არ უნდა კარგად შეგესრულებინა, თვლიდა, რომ ეს ჩვეულებრივი ამბავი იყო, რომ ეს ასედაც უნდა ყოფილიყო. ამავე დროს იყო ყურადღებიანი, გულისხმიერი და მგრძნობიარე. თანამშრომლების თხოვნებსა და გასაჭირზე მუდამ დაუყოვნებლივ რეაგირებდა, მაგრამ, იმათ, ვინც საქმეში გულგრილობას და უდისციპლინობას იჩენდა, მკაცრად სჯიდა. ჰქონდა უნარი კარგად განეწყო ადამიანები თავის მიმართ, დაეავადებინა ენთუზიაზმით. ზოგჯერ ხუმრობდა და ამ ხუმრობით და ენამოსწრებულობით უფრო მეტს აკეთებდა, ვიდრე ბრძანებით. მის იმ განსაკუთრებულ შრომისუნარიანობას ყველა აფასებდა, აპარატში „ძარღვმაგარ სახალხო კომისარს“ ეძახდნენ.

უნდა ითქვას მოლოტოვი ზოგჯერ მეტისმეტად უხეშიც იყო. არც უხეშ გამოთქმებზე იკავებდა თავს, შეეძლო ადამიანი შეურაცხეყო კიდევაც, თუმცა უმეტეს შემთხვევაში მართალი გახლდათ. რაც მთავარია, ასე ის საქმის სასიკეთოდ იქცეოდა.

„ცხენი მოსაგებად წავიდა და ნალებიც იქ დარჩაო“, – ამბობდნენ ზოგიერთები მოლოტოვის კაბინეტიდან გამოსვლისას.

ვიაჩესლავ მიხაილოვიჩი თუ იგრძნობდა, რომ მართალი არ იყო, შეწუხდებოდა, ადამიანის მიმართ თავის უსამართლო ქცევას ძალიან განიცდიდა, მაგრამ, პირადად მე, მართალი გითხრათ, არასოდეს მინახავს, ბოდიში მოეხადოს. განსაკუთრებით მძაფრ გამოთქმებს მაშინ იყენებდა, როცა ამა თუ იმ კრებას უძღვებოდა.

მაგალითად, ფინანსთა სახალხო კომისარი ა.გ. ზვერევი სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ მოხსენებას აკეთებდა, ვიაჩესლავ მიხაილოვიჩმა ჩათვალა, რომ სახალხო კომისარმა გასავლების ზოგიერთი სტატია არასწორად განიხილა, უფრო სწორად, არაეკონომიურად და გაღიზიანებულმა ჩაილაპარაკა:

– თქვენი გვარი ზვერევი კი არა, კროლიკოვი უნდა იყოს!

როგორც შემდეგში ზვერევმა ამის შესახებ მითხრა, მის თვალებში მხოლოდ სიცივე და გაღიზიანება იყო, მოლოტოვს ეს ხუმრობით არ უთქვამსო.

ზვერევი ოდნავი ხმააწევით თავის მართლებას რომ მოჰყვა, მოლოტოვმა – ეს რა აურზაური ატეხეთ, რა უგვანო წვრილი მოვაჭრესავით იქცევითო! – შენიშნა მკაცრად.

– ბოდიშს გიხდით, – თქვა წყნარად ზვერევმა და ბიუჯეტში გათვალისწინებული გასავლების დასაბუთებას მოჰყვა.

ამის შემდეგ ის აღგზნებული განწყობა თანდათან ჩაცხრა, მოლოტოვმაც, ეტყობა, იგრძნო, რომ ძალიან შეურაცხყო სახალხო კომისარი და სიტყვები ცოტა შეარბილა:

– აი, ასე გეთქვა, თორემ ისე ახმაურდი, როგორც ბელურა წვიმაში.

ამაზე ყველამ ჩუმად გაიცინა.

* * *

მოლოტოვი ყველაზე წინ საქმისადმი სერიოზულ, პატიოსან დამოკიდებულებას აყენებდა. თუ ის დავალებას მოგვცემდა და დროს დაგინიშნავდა, ან უნდა ჩატეულიყავი იმ დროში, ან უნდა გეთქვა, რომ ვერ ასწრებ, ამ დროს შეგარცხვენდა, ცოტას შეგაჩვენებდა, თუმცა, არა უშავს, მაგრამ კიდევ თუ დააგვიანებდი, მაშინ ფრთხილად უნდა ყოფილიყავი, აი, მაშინ კი კარგა გვარიანად გამოგლანძღავდა... კიდევ უფრო მკაცრი იყო, სიმართლეს თუ არ იტყოდი, მორჩა, წასული იყო შენი საქმე.

მოლოტოვი ხშირად ზედმეტად ნერვიულობდა, სრულიად უმნიშვნელოზეც კი ღიზიანდებოდა. განსაკუთრებით მაშინ, სტალინი რაიმეზე შენიშვნას თუ მისცემდა, ან ეგონა, რომ პირველი ადგილიდან მესამეზე ინაცვლებდა.

(გაგრძელება იქნება)

დასაწყისი იხ. № 65-140, 142, 143, 146, 150, 152, 156, 157, 162, 164, 166, 174, 186, 188, 190

◎ რაგბი

რეიტინგი ნოემბრამდე დალაგდა

რაგბის ქართველი გულშემატკივარი მოუთმენლად ელის ნოემბრის ტესტ-მატჩების სერიას, რომლის დროსაც პირველად ქართული რაგბის ისტორიაში „ბორჯღალოსნებს“ მსოფლიოს საუკეთესო გუნდების ათეულში შესვლის შანსი ექნებათ.

მანამდე, უკანასკნელ ორ კვირაში ოთხი ერისა და ერთა თასის ქვედა დივიზიონის შეხვედრების ზეგავლენით, რეიტინგში გარკვეული გადაადგილებები მოხდა. ახალმა ზელანდიამ სამხრეთ აფრიკას სარეკორდო სხვაობით, 57:15 რომ მოუგო, დიდი ხნის შესვენების შემდეგ საკუთარ მონაგარს ქულები შემატა და მდევრებს კიდევ უფრო დაშორდა. ახლა ის ინგლისს 7-ზე მეტი სარეიტინგო ქულით უსწრებს.

სამხრეთ აფრიკამ სულ რაღაც 0,27 ქულა დაკარგა, თუმცა, ავსტრალიამ არგენტინას „თვიქენჰემზე“ 33:21 მოუგო და „ბოკე“ რეიტინგში ჩამოიტოვა. არგენტინას მარცხი კიდევ უფრო ძვირად დაუჯდა და ერთბაშად ორი საფეხურით დაქვეითდა. მას საფრანგეთმა და შოტლანდიამ გადაასწრეს და მე-9 ადგილზეა.

მსოფლიო რაგბის რეიტინგი 10 ოქტომბრისთვის:

1 (1). ახალი ზელანდია 96,57, 2 (2). ინგლისი 89,49, 3 (4). ავსტრალია 85,33, 4 (3). სამხრეთ აფრიკა 84,85, 5 (5). უელსი 82,49, 6 (6). ირლანდია 81,67, 7 (8). საფრანგეთი 80,75, 8 (9). შოტლანდია 80,44, 9 (7). არგენტინა 80,31, 10 (10). ფიჯი 75,49, 11 (11). საქართველო 75,23

კობა კობახიძე

◎ ლეგიონერი

ვაკო გვილია:

„საქართველოს სახელის დაცვა ჩემთვის დიდი პატივია“

საქართველოს ეროვნული ნაკრებისა და ბორისოვოს „ბატეს“ ნახევარმცველმა ვაკო გვილიამ თავის ფეისბუქგვერდზე განცხადება გაავრცელა, რომელშიც იგი მადლობას უხდის ყველა იმ ადამიანს, რომელიც ამ დღეებში მას მხარში ედგა. ახალგაზრდა ფეხბურთელის თქმით, მას საქართველოს ნაკრებში თამაშით ოცნება აუსრულდა და მისთვის დიდი პატივია ეროვნული გუნდის ღირსების დაცვა.

„ყველას უღრმესი მადლობა მხარდაჭერისთვის და კეთილი სიტყვებისთვის. ეს იყო ბავშვობის ოცნება, რის ასახდენად მე ყველაფერს ვაკეთებდი. ჩემთვის დიდი ღირსება და პატივია საქართველოს დროშის წარდგენა და დაცვა მსოფლიო მასშტაბით. უფალს დიდი მადლობა უნდა გადავუხადოთ ყოველმა ჩვენთაგანმა ამ შესაძლებლობისთვის. იმედი მაქვს და დარწმუნებული ვარ, თუ ყველანი გავერთიანდებით, წინ დიდი წარმატებები გველის“ — დაწერა ფეხბურთელმა.

შეგახსენებთ, რომ გვილიას დებიუტი ირლანდიასთან მატჩში ჰქონდა, მერე კი უელსის წინააღმდეგაც ითამაშა. გვილია აღნიშნულ შეხვედრებში ჩინებულად გასარჯა და მოედანზე ერთ-ერთი საუკეთესო გახლდათ. შესაბამისად, მასზე სპეციალისტები და გულშემატკივრები დიდ იმედებს ამყარებენ.

მანუჩარ გიორგაძე

◎ ფეხბურთი

არგენტინა შოკშია!

2018 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის მატჩები გაიმართა სამხრეთ ამერიკაში და 10 ტურის შემდეგ საკვალიფიკაციო ეტაპს ბრაზილია ლიდერობს. „სელესაო“ სტუმრად ვენესუელას ეწვია და ლიდერის ნეიმარის გარეშე 2:0 იმარჯვა. გოლები გაბრიელ ჟესუსმა და ვილიანმა გაიტანეს. 73-ე წუთზე კარაკასის სტადიონზე ელექტროენერგიის პრობლემა შეიქმნა, თუმცა, მასპინძლებმა ხარვეზი მალევე გამოასწორეს, გუსტავო დუდამელის შეგირდებმა კი მატჩი ვერ გადაარჩინეს. ბრაზილიას 21 ქულა დაუგროვდა და ურუგვაი უკან მოიტოვა, ვენესუელა კი ბოლო ადგილზეა.

ოსკარ ტაბარესის შეგირდებმა სტუმრად კოლუმბია ვერ დაამარცხეს. აბელ აგილარმა მასპინძლები მე-15 წუთზე დაანინაურა, მას კი კრისტიან როდრიგესმა 27-ე წუთზე უპასუხა. მეორე ნახევარში ლუის სუარესმა სტუმრები დააწინაურა, თუმცა, იერი მინამ კოლუმბიას ქულა მაინც მოუტანა. ურუგვაიმ ორი ქულა დაკარგა და ლიდერობა დათმო, კოლუმბია კი „ალბისელესტეს“ წაფორხილებით მეოთხე ადგილზე დარჩა.

არგენტინის ეროვნული ნაკრები უკვე სამი თამაშია ლიონელ მესის გარეშე ასპარეზობს და ვერ იგებს. ვენესუელასთან და პერუსთან ფრედ დასრულებული შეხვედრების შემდეგ ამჯერად „ალბისელესტე“ საკუთარი გულშემატკივრების წინაშე შერცხვა და პარაგვაისთან 0:1 წააგო. მასპინძლები მე-18 წუთზე შეტევაში გაერთნენ, დერლის გონსალესმა კი კონტრშეტევაზე ზუსტად ითამაშა. სერხიო აგუეროს პენალტით შეეძლო საპასუხო გოლის გატანა, თუმცა, მეკარემ აუღო. პარაგვაი ამ გამარჯვებით მეხუთეადგილოსან არგენტინას (16ქ) წამოეწია და ერთი ქულითღა ჩამორჩება.

პერუმ ჩილეს სტუმრად მედგარი წინააღმდეგობა გაუწია, თუმცა, არტურო ვიდალმა გუნდს ულიდერა და მნიშვნელოვანი სამი ქულა მოუტანა. „ბაიერნის“ ფეხბურთელმა პირველ ნახევარში მაურისიო ისლას გადაცემით მასპინძლები დააწინაურა. სტუმრებმა 76-ე წუთზე გაიტანეს და ფრეზე თამაში დაიწყეს. ვიდალმა კი ლიდერის თვისებები სწორედ ამ დროს გამოაჩინა და 85-ე წუთზე კვლავ ისლას გადაცემით ისარგებლა. ჩილე არგენტინას ორი ქულითღა ჩამორჩება.

ბოლივიასთან შეხვედრაში ეკვადორი ფავორიტი გახლდათ, თუმცა, პირველი ტაიმის შემდეგ უკვე ქულის გადარჩენა ჰქონდა მიზნად. საწყის 45 წუთში პაბლო ესკობარმა დუბლი შეასრულა და გულშემატკივრები მოგებას ელოდნენ, თუმცა, ენერ ვალენსიამაც დუბლი მიითვალა და ეკვადორი მესამე ადგილზე დატოვა.

11 ნოემბერს სამხრეთ ამერიკაში მნიშვნელოვანი მატჩები გაიმართება. ბრაზილია არგენტინის ეროვნულ გუნდს მიიღებს და „ალბისელესტე“ თუ კვალავ ლიონელ მესის გარეშე ითამაშებს, ბევრი პრობლემა შეექმნება. ჩილეს შანსი ექნება კოლუმბია სტუმრად დაამარცხოს და მსოფლიოს ჩემპიონატზე მოსახვედრად ბრძოლა გააგრძელოს. ურუგვაი ეკვადორს მიიღებს, პარაგვაი - პერუს, ხოლო ბოლოადგილოსნები ვენესუელა და ბოლივია მატურინში გაარკვევენ ურთიერთობას.

გიორგი ზოთაძე

◎ ჩოგბურთი

ჯოკოვიჩი კორტს გამარჯვებით დაუბრუნდა

მსოფლიოს ნომერ პირველი ჩოგბურთელი ნოვაკ ჯოკოვიჩი ერთთვიანი შესვენების შემდეგ კორტს შანხაის მასტერსზე დაუბრუნდა. სერბმა პირველ წრეში იტალიელი ფაბიო ფონინი 6:3, 6:3 დაამარცხა. შეხვედრა საათსა და 17 წუთს გაგრძელდა. ტურნირის 1/8-ფინალში ნოვაკი პოსპიშილი-დიმიტროვის დაპირისპირებაში გამარჯვებულს შეხვდება.

შეგახსენებთ, რომ ჯოკოვიჩი შანხაის მასტერსის მოქმედი ჩემპიონია. ნოვაკს აღნიშნული ტიტული კარიერაში სამჯერ აქვს მოგებული (2012, 2013, 2015).

ბადრი იაშვილი

◎ კალათბურთი

მესინა იტალიის ნაკრებში 2017 წლამდე დარჩება

კალათბურთის აპენინელი სპეციალისტი, 56 წლის ეტორე მესინა იტალიის ნაკრებს 2017 წლის ევრობასკეტის ჩათვლით გაწვრთნის. აღნიშნულ ინფორმაციას იქაური კალათბურთის ფედერაციის ოფიციალური ვებ-გვერდი ავრცელებს.

მესინა „სკუადრა აძურას“ 2015 წელს ჩაუდგა სათავეში, რომელსაც მანამდე 1993-1997 წლებშიც თავკაცობდა.

მესინას მიღწევები: ევროლიგის 4-გზის ჩემპიონი (1998, 2001, 2006, 2008), ევროლიგის 2-გზის საუკეთესო მწვრთნელი (2006, 2008), იტალიის თასის 7-გზის მფლობელი, იტალიის 4-გზის ჩემპიონი, „ვთბ-ლიგის“ 2-გზის გამარჯვებული და იტალიის ნაკრებთან ერთად 1997 წლის ევრობასკეტის ვერცხლის მედლის მფლობელი.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ ინტერნეტიდან

სონია „დელპოს“ ეხმარება

იტალიის საფეხბურთო ნაკრებისა და ტურინის „იუვენტუსის“ ქართველმა ქომაგებმა ალბათ უკვე იციან, რომ მათი კერპი და ლეგენდა, ყოფილი კაპიტანი ალესანდრო დელ პიერო ავტობიოგრაფიული წიგნის წერითაა გართული და ბევრი უკვე ამ წიგნის მოლოდინშიცაა.

როგორც გაირკვა, ალესანდროს წიგნს ძირითადად არა საკუთრივ ვეტერანი ფეხბურთელი, არამედ მისი მეუღლე, ყოფილი მოდელი სონია ამორუზო წერს, რომელიც ქმართან ყოველდღიური კონსულტაციების მიხედვით მუშაობს და რამდენად კარგად გამოსდის ეს საქმე, სულ მალე ვნახავთ.

სხვათა შორის, სონია ამორუზოსათვის ტექსტზე მუშაობა სულაც არაა უცხო. მაშინ, როდესაც ალესანდრო ავსტრალიის ჩემპიონატში გამოდიოდა, სონია ამორუზო სიდნეის ერთ-ერთ პოპულარულ ჟურნალთან თანამშრომლობდა და საავტორო გვერდზე გლამურულ ამბებს მიმოიხილავდა.

როსტომ რაჭველიშვილი

„დედავ, სიცოცხლის დიდო საწყისო“, ანუ გულმხურვალება, რომელიც გადამდებია.

ამ საგაზეთო წერილში არ ვისაუბრებ ცნობილი ბიზნესმენის, კომპანია „მათე მოტორსის“ გენერალური დირექტორის ბატონ გელა ბარკალაიას საქმიანობის წარმატებებზე, იმაზე თუ როგორ შექმნა მძლავრი ორგანიზაცია და ამით გარკვეული წვლილი შეიტანა ქვეყნის ეკონომიკურ წარმატებებში, უკანონოდ თუ როგორ დასაჯა წინა ხელისუფლებამ, რო-

გორ დასძლია წინაღობები და დღეს ერთ-ერთი მოწინავე კომპანიის მეპატრონეა.

წარმატებული მეწარმე ბევრია. ვისაუბრებ მის გამორჩეულ თვისებაზე, რითაც ბევრის ყურადღება დაიმსახურა. ეს გახლავთ დედისადმი უზომო სიყვარული.

დედის ფენომენისადმი პატივგებით ვის გააკვირვებ საქართველოში? დედა არა მხოლოდ მშობელია, ის ხატია, ის სიწმინდეა, მოციმციმე ვარსკვლავია ჩვენს სულში. დედის უბე აკვანია. მისი იავნანა ბულბულის გალობაა, თვალთა ნათელია, მთელი სამყაროა...

გელა ბარკალაია თავისებურად, მგრძნობიარედ გამოხატავს დამოკიდებულებას დედისადმი.

ჯერ კიდევ იწყებდა შრომით საქმიანობას, ფეხს იდგამდა, საზოგადოებაში გზას იკვლევდა, როცა დედა გარდაეცვალა. ზოგადად ქართველი დედის ღირსებისადმი პატივი რომ მიეგო, მოინდომა სენაკის ერთ-ერთ ქუჩას დედის სახელი შერქმეოდა. მაშინ ამის მიღწევა ადვილი არ იყო, მაგრამ ყველა დაარწმუნა, რომ დედებისადმი უსაზღვრო მადლიერების გამოხატულების ნიშნად, მისი წინადადება გაეზიარებინათ. არა მგონია საქართველოს რომელიმე სხვა ქალაქში დედის ქუჩა არსებობდეს. მაგრამ სახელის მინიჭება კი არ იყო მთავარი. არამედ ეს ქუჩა სხვებისაგან გამორჩეული უნდა გამხდარიყო. მაშინ ოღროჩოღრო და მოუვლელი ქუჩა დღეს კეთილმოწყობილია. გელა დაეხმარა ამ ქუჩის მცხოვრებ და საერთოდ, სენაკელ შეჭირვებულ ადამიანებს, ასზე მეტი უმუშევარი დაასაქმა, ბევრი ახალგაზრდა მოსწყვიტა ქუჩას და ოჯახს დაუბრუნა.

ეს ბევრს ნიშნავს.

იშვიათად მომისმენია სხვებისგან ამდენი მადლიანი და გრძნობით სავსე სიტყვები დედისადმი. განა ათასჯერ არ თქმულა „დედის რძე ზიარებაა, გული მისი ფასეულობათა ღვთიური სალაროა, გონება შთაგონებაა“ მაგრამ ბატონი გელა როცა იმეორებს კონსტანტინე გასახურდიას სიტყვებს ნოველიდან **„დედავ, მისტიურო ქალო“, გრძნობ, რომ მის გულში მაშინ ცისკარი ინთება „გხედავ და შენს თვალებში მელანდება დაღალული სისხლის ბნელი წარსული. ვინ შეგეხვეწა ნაციებ მინდვრებში გაზრდილი, სინათლის მწვერვალისაკენ, რომ ამისროლე...“ ან გოდერძი ჩოხელის ტკივილიანი მონოლოგი „წავა დედა და ჩამოიხსნება ფარდა შენსა და სიკვდილს შორის, რომელიც მგელივით წამოგადგება, მოსვენებას გიკარგავს, სილაღეს ჩაგიკლავს...“**

ცხადია, გელა ბარკალაიას ცნობიერებაში გამძაფრებულია გრძნობა სათნო, ქვეყნად ერთადერთი და განუმეორებელი დედისადმი, რომლის სითბო, მზრუნველობა და ამაგი დაუფასებელია, რომლის ცრემლი ყველაზე სათუთი და სპეტაკია. გელა დარწმუნებულია, რომ დედის სული იმქვეყნიური სამოთხიდან ეხმარება საქმიანობაში, მისი თვალები უნათებენ გზას და მისი აჩრდილი მფარველობს ბარკალაიების მრავალრიცხოვან ოჯახს.

მისი სურვილია დედებისადმი მიძღვნილი გრანდიოზული ზეიმი მოაწყოს სენაკში, მოიწვიოს ცნობილი მომღერლები, ხმატკბილი ჰანგებით მოეფეროს დედათა სულებს, თანაქალაქელები ძვირფასი საჩუქრებით დაასაჩუქროს. ამით ახალგაზრდებს უთხრას, რომ დედა ერთადერთი და განუმეორებელი არსებაა ქვეყანაზე და სიცოცხლეშივე განსაკუთრებული მზრუნველობა და პატივი მივაგოთ მას.

ბატონი გელას შესანატრი გულმხურვალება და პოზიტივი მართლაც გადამდებია. ეს გახლავთ ადამიანი, რომელიც მთელი გრძნობით დაატარებს მოწიწებას დედისადმი შვილებსა და შვილიშვილებზე გადაგებული არსებისადმი, რომელიც სამაგიეროდ თითქმის არაფერს ითხოვს.

მერწმუნეთ, რაც მეტი ადამიანი გვეყოლება ბატონი გელა ბარკალაიას მსგავსი, მით უფრო ძლიერი და ზნეობრივად სპეტაკი იქნება ქართული საზოგადოება.

ბორის დავითაია,
აკაკი წერეთლის სახელობის პრემიის ლაურეატი.
სენაკი

სანთელი

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის „ინოვაციებისა და მაღალი ტექნოლოგიების ცენტრი“ იუწყება გამოჩენილი ენერგეტიკოსის, პროფესორ

ვაჟა ჯამარჯაშვილის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

ბიუჯეტის სოციალური ნაწილი ფუნდამენტურად შეიცვლება

როგორ ვიცხოვრებთ 2017 წელს?

პარლამენტმა ქვეყნის მთავარი ფინანსური დოკუმენტის შესწავლა უკვე დაიწყო. ბიუჯეტის პროექტს საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტში განიხილავენ. პირველი, რაც ახალი მოწვევის პარლამენტმა უნდა გააკეთოს, ეს ბიუჯეტის პროექტის სასწრაფო შესწავლა და მისი უკან მთავრობაში გადაგზავნაა, რათა საკანონმდებლო ორგანოს ძირფესვიანად გადამუშავებული ვარიანტი დაუბრუნდეს.

2017 წლის ბიუჯეტი დეკემბრის შუა რიცხვებამდე დამტკიცებული უნდა იყოს. პროექტის შესწავლა და განხილვა კი, როდის მოხდება, ჯერ უცნობია. საკომიტეტო მოსმენების დასრულების შემდეგ, მას უკვე მე-9 მოწვევის პარლამენტი დაამტკიცებს. მისი შეკრება კი ვერ ხერხდება. პარლამენტის მუშაობის დასაწყებად დეპუტატთა 2/3-ია საჭირო. ამ ეტაპზე კი მხოლოდ 97 დეპატუტი გროვდება, რადგან 53 მაჟორიტარულ ოლქში მეორე ტურია გასამართი. ასე რომ, როდის შეუდგებიან ბიუჯეტის განხილვას კანონმდებლები, გარკვეული არ არის.

როგორც ფინანსთა სამინისტროში, ასევე პარლამენტში ამბობენ, რომ ეს არ არის ბიუჯეტის საბოლოო ვარიანტი და პროექტი მნიშვნელოვნად გადამუშავდება. პირველად ვერსიაში, როგორც მთავრობა განმარტებით ბარათში აღნიშნავს, „საარჩევნო პერიოდის გათვალისწინებით“ არ არის გათვალისწინებული სახსრები ახალი პროგრამებისთვის, თუმცა პროექტის გადამუშავების შედეგად არსებული მაკროეკონომიკური პარამეტრების ფარგლებში მათი „მაქსიმალური“ დაფინანსება იგეგმება.

„დოკუმენტი საარჩევნო პერიოდის დასრულების შემდგომ მნიშვნელოვნად გადამუშავდება. გაიზრდება მისი ჯამური მოცულობა და მასში გათვალისწინებული იქნება ბევრი სიახლე, მათ შორის, იმ პროექტების – პროგრამების ზრდა, რომელიც გააუმჯობესებს ქვეყნის სატრანზიტო პოტენციალს და ტურისტულ ინფრასტრუქტურას“, – აცხადებს ფინანსთა მინისტრის მოადგილე **გიორგი კაკაურიძე.**

ცვლილებებზე საუბრობს უმრავლესობის წევრი გია ვოლსკი. მისი თქმით, პარლამენტში წარმოდგენილი ბიუჯეტის პროექტი მნიშვნელოვან მუხლებში სცილდება იმ გეგმებს, რომელიც „ქართულ ოცნებას“ გააჩნია. „ბიუჯეტის პროექტი აუცილებლად შეიცვლება, განსაკუთრებით სოციალურ ნაწილში“, – განაცხადა ვოლსკიმ.

2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი პროექტის მიხედვით, 410 მლნ ლარით იზრდება და 10 მლრდ 555 მლნ ლარს მიაღწევს. მათ შორის, საბიუჯეტო სახსრები შეადგენს 9 მილიარდ 520 მილიონ ლარს, გრანტები 135 მილიონ ლარს, ხოლო კრედიტები 900 მილიონ ლარს.

როგორც ბიუჯეტის პროექტის განმარტებით ბარათშია აღნიშნული, მომავალი წლის ფისკალური და მაკროეკონომიკური მაჩვენებლები კონსერვატიული მიდგომით არის დაგეგმილი და 2017 წლისთვის მშპ-ს რეალური ზრდის და მშპ-ის დეფლატორის პროგნოზი 4% იქნება. საშუალოვადიან პერიოდში ეკონომიკის რეალური ზრდის პროგნოზი 4,5%-ის ფარგლებშია მოსალოდნელი.

პროექტის თანახმად, ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი 8 მლრდ 170 მლნ ლარია, რაც მთლიანი შიდაპროდუქტის 22,3%-ს შეადგენს. დაახლოებით 450 მლნ ლარით მცირდება მოგების გადასახადის საპროგნოზო მაჩვენებელი და ის 523 მლნ ლარი იქნება, რაც ე.წ. ესტონური მოდელის ამოქმედებას უკავშირდება, ანუ 2017 წლიდან დაიბეგრება მხოლოდ განაწილებული მოგება, რაც ამცირებს მომავალ წელს ამ გადასახადის სახით მისაღები შემოსავლების პროგნოზს.

გეძა დანელია

რთველი რაჭაში

კახეთის შემდეგ რთველი რაჭა-ლეჩხუმის რეგიონშიც იწყება. სოფლის მეურნეობის მინისტრმა ლევან დავითაშვილმა რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის გუბერნატორ პაპუნა მარგველიძესთან ერთად ამბროლაურის მუნიციპალიტეტში რთველის საკოორდინაციო შტაბი გახსნა.

როგორც მინისტრმა აღნიშნა, რთველის მოსამზადებელი სამუშაოები დასრულებულია და ხელისუფლება სრულ მზადყოფნაშია, რათა წლევანდელმა რთველმა რაჭაშიც ორგანიზებულად ჩაიაროს.

სოფლის მეურნეობის მინისტრი ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სოფელ საკეციაში ყურძნის კრეფის პროცესს დაესწრო. ასევე, ლევან დავითაშვილი სოფელ ბუგეულში ყურძნის გადამამუშავებელ ქარხანაშიც იმყოფებოდა, სადაც ყურძნის ჩასაბარებლად მისულ მევენახეებს გაესაუბრა და ყურძნის მიღებისა და გადამუშავების პროცესს გაეცნო.

„დღეისათვის რაჭაში 100 ტონა ყურძენია გადამუშავებული. რთველი, კახეთის რეგიონის მსგავსად, რაჭა-ლეჩხუმშიც ორგანიზებულად და წარმატებით ჩატარდება, მოსავალის დაბინავების პრობლემა არც ერთ მევენახეს არ შეექმნება. მნიშვნელოვანია, რომ რეგიონში მიმდინარე წელსაც შენარჩუნებულია „სახვანჭკარე“ ჯიშების (ალექსანდროული, მუჯურეთული) ჯიშობრივი სიზუსტის დაცვის კონტროლის მექანიზმები, გაკონტროლდება თითოეული ავტომობილი, რთვლის პროცესში ჩართულები იქნებიან ამპელოგრაფები. მინდა დიდი მადლობა გადავუხადო ყველა შესაბამის უწყებას, რომლებიც ჩართულები არიან ამ პროცესში“ – აღნიშნა ლევან დავითაშვილმა.

ამ ეტაპისთვის ამბროლაურის რთვლის საკოორდინაციო შტაბში დარეგისტრირებულია 15 ღვინის კომპანია.

საწყის ეტაპზე გახსნილი იქნება 6 მიმღები პუნქტი – 3 ქალაქ ამბროლაურში და 3 სოფლებში: ჭრებალო, ბუგეული და ხვანჭკარა. რთვლის პროცესში განსაზღვრულია ჩაბარების საათები – 10:00 საათიდან 18:00 სათამდე.

რეკლამა
„საქართველოს რესპუბლიკაში“
სულხან-საბას ქ. №3. 293-13-34; 599 797679

ADZARIJA: ten, kur kalnai ir jūra

აჭარაში ლიტველი ტურისტების რაოდენობა გაიზარდა

აჭარის ტურიზმის დეპარტამენტმა რეგიონში ტურისტების მოზიდვის მიზნით აქტიური პიარკამპანიები 10 სამიზნე ქვეყანაში აწარმოა. მათ შორისაა ლიტვა, საიდანაც ვიზიტორთა რაოდენობა აჭარაში 2016 წლის იანვარ-აგვისტოში 43%-ით გაიზარდა.

აჭარის ტურისტული პროდუქტების პოპულარიზაციისა და რეგიონის ცნობადობის გაზრდის მიზნით დეპარტამენტმა ლიტვაში სხვადასხვა პიარღონისძიებებს გაუწია ორგანიზება. მათ შორის განსაკუთრებით საინტერესო ვილნიუსსა და კლაიპედაში აჭარის დღეების გამართვა იყო, სადაც ქართულ ფოლკლორს, სამზარეულოსა და ტრადიციებს 4000-მდე ლიტველი გაეცნო.

წარმატებული იყო ცნობილი ლიტველი მსახიობებისა და ტელეწამყვანების აჭარაში მოგზაურობის პიარპროექტიც, რომელიც რეგიონის ცნობადობის გაზრდას ემსახურებოდა. ლიტველი „ვარსკვლავების“ აჭარაში მოგზაურობას მოჰყვა პოზიტიური გამოხმაურება მედიაში. ლიტვაში პოპულარულ ვებ-პორტალებსა და ტელევიზიებში 50-მდე სტატია და სიუჟეტი გამოქვეყნდა მათი აჭარაში მოგზაურობისა და რეგიონის ტურისტული პროდუქტების შესახებ.

დეპარტამენტმა ლიტვიდან ასევე უმასპინძლა 10-მდე რეიტინგული მედიასაშუალებების წარმომადგენლებს. მედიატურის შედეგად 15-მდე სტატია და ვიდეორგოლი ლიტვაში რეიტინგულ ვებპორტალებსა და ჟურნალებში გამოქვეყნდა. მასალების საერთო წვდომამ 4,5 მილიონს მიაღწია.

⦿ ანეკდოტები

— ძვირფასო, სად გვაქვს ოჯახში ჩაი, ერთი საათია ვეძებ და ვერაფრით ვერ ვიპოვე, — ეუბნება ქმარი ცოლს.

— ნეტა უჩემოდ რა გეშველებოდა, არ ვიცი, როდემდე უნდა იყო ასეთი უსუსური! აჰა, შეხედე — ჩაი აი იმ კარადის მარჯვნიდან მეორე რიგის მესამე უჯრაშია, კაკაოს ქილაში, რომელსაც „პილპილი“ აწერია!..

* * *

— ჩემო აბრამ, შენ ხომ გონიერი კაცი ხარ, მირჩიე რამე: სულ ახალთახალი მანქანა მყავს, მაგრამ ხან ისე დადის, გულს უხარია, მაგრამ ზოგჯერ დადგება ჯორივით და ძვრას ვერ უზამ. რანაირ ხელოსნებთან არ მყავდა, ვერავინ ვერაფერი ვერ გაუგო.

— ჰოდა, შემდეგ, ჯერ კარგად რომ დაიწყებს სიარულს, აუცილებლად გაყიდე, დაგენაცვლე!

* * *

ძვიიიიიიირფააასოოოო, დღეეეეს მეეეე წვეეთიი არ დააამიიილეეევიიიააა!

— აბა, თქვი: „მიწამ — ჟანგი, ჟანგმა — თოფი, თოფმა — მგელი, მგელმა — თხა, თხამ ვენახი შეჭამა!“

— დავლიე, დავლიე!..

* * *

„მანქანის მძღოლისა და ფეხით მოსიარულის ნულოვანი წესი“: „მოძრაობის თითოეულ მონაწილეს უნდა ეგონოს, რომ სხვა — იდიოტია და აქედან გამომდინარე მოიქცეს“.

* * *

— მაშ ასე: როგორც კი ოპერაციის შემდეგ პაციენტი ანესთეზიის მდგომარეობიდან გამოვა, იგი ცუდი ამბისთვის უნდა შეამზადოთ, — ეუბნება ქირურგი ექთანს.

— სმას ის ველარ შეძლებს!

განცხადება

იყიდება დიდი დიღმის პირველ მიკრორაიონში, კლინიკა „იმედიდან“ ორასიოდე მეტრში მდებარე მიწის ნაკვეთი, რომელიც კაპიტალური გალავნით არის შემოღობილი და სხვადასხვა სახეობის ასამდე მსხმოიარე ნარგავითაა განაშენიანებული. ყველა კომუნიკაცია (გაზი, დენი, კანალიზაცია) ჭიშკართანაა მიყვანილი, წყალი კი შეყვანილია. ნაკვეთის ფართობია 1250 კვ. მეტრი. შეიძლება ნახევრის ყიდვაც. ფასი — შეთანხმებით. ტელ.: 598 51 81 35; 599 16 81 71; 599 11 19 11.

შიშველი, ცისფერკულულება...

თანამედროვე სტრიპტიზს ღრმა ფესვები უდევს აღმოსავლეთის მრავალი ქვეყნის უძველეს რელიგიურ კულტებში.

მაგალითად, **ძველ ინდოეთში** ზეციური მოცეკვავე — აფსარი ქალიშვილები ღმერთების მეუღლეები იყვნენ. მათ მიწიერ განსახიერებად მოცეკვავე დევადასები ითვლებოდნენ, რომელთა ცეკვებში ღმერთებისა და მიწიერი ქალების შეხვედრების ამბები იყო მოთხრობილი. დევადასები ყველაზე მდიდარ, მრევლმრავალ ტაძრებში 5-6 წლიდან ცხოვრობდნენ და გათხოვების უფლება არ ჰქონდათ. დევადასად კურთხევის დროს, ღმერთან შეუღლებისას,

ქალიშვილები მთლად უნდა გაშიშვებულიყვნენ. ზოგიერთ შემთხვევაში მათი რიტუალური დეფლორაციაც ხდებოდა.

ძველ ეგვიპტეში ცეკვის დროს გაშიშვლება ღმერთ ოსირისის კულტს უკავშირდებოდა, რომელიც ბუნების ცხოველმყოფელ ძალას განასახიერებდა. მოცეკვავეებს al-meh-ებს უწოდებდნენ, რაც არაბულად „განათლებულ ქალს“ ნიშნავს. სამოსელიდან ალმეები მხოლოდ ნახევრად გამჭვირვალე პერანგსა და შარვალს იტოვებდნენ. შიშველი მუცელი სიცოცხლის სიმბოლოდ იყო მიჩნეული, ამიტომ ალმეები საოჯახო დღესასწაულებშიც, ვთქვათ ქორწილებში ცეკავდნენ, რაც, ახალგაზრდა მეუღლეს ბედნიერ დედობას უქადდა. ყველაზე ეროტიკულად მაინც ეგვიპტელი ბოშების — გავაზების — ცეკვები ითვლებოდა, რომლებიც ბაზრებსა და მოედნებზე მთლად შიშვლდებოდნენ.

ალმეები **ებრაელებსაც** ჰყავდათ, მოცეკვავეები დიდებულთა ოჯახების ჩინებულად განათლებული ასულები იყვნენ, რომლებსაც დიდ პატივსაც მიაგებდნენ. ძველ აღთქმაში მოთხრობილია იუდეველთა მეფის იროდის შვილთაშვილის, მოცეკვავე სალომეას ამბავი, რომელმაც ყველანი მოხიბლა თავისი ცეკვით, გასამრჯელოდ კი იოანე ნათლისმცემლის თავი მოითხოვა, რომელმაც მას სიყვარულზე უარი უთხრა. ეს სურვილი მეფემ მას შეუსრულა, ამდენად სალომეა, შესაძლოა, ისტორიაში პირველი ქალია, რომელმაც სტრიპტიზი შურისგების იარაღად გამოიყენა.

ბიზანტიამ დიდი ხალისით გადაიღო როგორც საბერძნეთის, ასევე აღმოსავლეთის ქვეყნების გართობები და სანახობები. მართალია, ქრისტიანულ რელიგიაში არანაირი ეროტიკული ცეკვების ხსენებაც არ იყო, სამაგიეროდ, იქაური ნადიმები მათ გარეშე არასდროს იმართებოდა. ცნობილია იმპერატორ იუსტინიანე დიდის თანამეცხედრის თეოდორას (500-548 წ.წ.) ამბავი, რომელიც მანამდე ცირკის მსახიობი იყო და არენაზე მხოლოდ წინ ქამარივით შეკრული აბრეშუმის ნაჭრის ამარა გამოდიოდა, თან სულ იმას დარდობდა, რომ „ერთიანად გაშიშვლების უფლებას არ აძლევდნენ“. იგი აბუჩად იგდებდა საზოგადოებრივ ზნეობას: იმ დროს ოჯახის ქალის შესაფერისად მხოლოდ მუქი ფერის თმა ითვლებოდა, იმპერატრიცა კი ღრეობებში ოქროს პუდრით მოყრილი ცისფერი კულულებით იწონებდა თავს.

ექსპედიცია მარსზე

მათ, ვისაც მარსზე გამგზავრება სურთ, შესაძლოა, ოცნება რეალობად ექცეთ. მომავალი 15 წლის განმავლობაში შეერთებული შტატები მარსზე კოსმოსურ ექსპედიციას გეგმავს. თეთრი სახლის ლიდერის თქმით, მისია 2030 წლისთვის დაიწყება. მარსის კოლონიზაციის გეგმა ცოტა ხნის წინათ კომპანია „სფეის იქს“-ის დამფუძნებელმაც წარადგინა. ილონ მაქსის თქმით, ამბიციური პროექტის განხორციელება 10 მილიარდი დოლარი დაჯდება.



საქართველოს რესპუბლიკა

SAKARTVELOS RESPUBLIKA

სულხან-საბას ქ. №3

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
293-13-34
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;
რუსლან რუსია
599 17-21-21;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“

იბეჭდება გამომცემლობა „კოლორში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323

ISSN 2233-3851

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად წაიკითხე!

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.3365; ევრო - 2.5900;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 2.8655;
100 რუბლი - 3.7418; თურქული ლირა - 0.7566;
აზერბაიჯანული მანათი - 1.4584;
1000 სომხური დრამი - 4.9189.

ამინდი 13 ოქტომბრისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:		
ბარი -	ღამე +10,	დღე +20
მთიანი რაიონები -	ღამე +5,	დღე +20
დასავლეთი საქართველო:		
ბარი -	ღამე +13,	დღე +27
მთიანი რაიონები -	ღამე +8,	დღე +24
თბილისი:	ღამე +15,	დღე +16

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 293-13-34, 599-79-76-79
WWW.SAKRESP.GE